რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 30 დეკემბერი 1917 წ.

ერთობა

ფასი 15 კაპ.

გაზეთი ღირს: ერთი თვით 4 მ. 50 კ., ორი თვით 9 მ., სამი თვით 13 მ. 50 კ. ექვსი თვით 27 მ. ერთი წლით 50 მ. ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 საათ. ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგ ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба“. [illegible] გამოგზავნილ ფულს [illegible]

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 228 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 228 229

ღრმათ დამწუხრებულნი მეუღლე მართა ოთარის ასული გვარჯალაძისა, შვილები: ვლადიმერი, მოსე და კოწია გვარჯალაძეები, რძლები: ბარბალე და ვასასი გვარჯალაძისანი აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს საყვარელ და დაუვიწყარ

იაგორ ლაზარეს ძე გვარჯალაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ქალ. ლანჩხუთში (გურია) 30 დეკემ.

ღრმათ დამწუხრებულნი დედა მაკრინე, მეუღლე ბარბარე, ძმები: ვასილ და პეტრე ლაღიძეები, დაი ნუშო და სიძე ანდრო ჰიაბრიშვილები, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ნიკო ივანეს ძე ლაღიძე

გამოსვენება შაბათს, 30 დეკემბერს, დილის 7 ს., კერძო საავადმყოფოდგან (ქსენიევის ქუჩა), თფ. სადგურზე. დაკრძალვა კვირას 31 დეკ. სოფ. ხაშმში.

ღრმათ დამწუხრებული მშობლები: სიმონ და ლისა, ძმები: კონსტანტინე, ილიკო და დომენტი, დანიშნული დარიკო მეკრავიშვილი, რძალი დეროსიდე, ძმის წულები: აპოლონ, კარლო და შოლია, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობ-მეგობრებს და ამხანაგებს ძვირფასის დაუვიწყარის

ისიდორე სიმონის ძის გოგელიას

გარდაცვალებას. ცხედარის გამოსვენება მოხდება ლაზარეთ № 40 (ნავთლუღი) დილის 9 საათზე თფილისის სადგურზე, საიდგანაც გასვენებენ გურიაში სოფ. სამება. დაკრძალვის დღე შემდეგ იქნება გამოცხადებული.

მიიღება ხელის მოწერა 1918 წ. ყოველ დღიურ გაზეთ

„სოციალ-დემოკრატ“-ზე

ხელის მოწერის პირობები:

ერთი წლით 50 მან., ექვსი თვით 27 მან., სამი თვით 13 მან. 50 კაპ., ორი თვით 9 მან., ერთი თვით 4 მან. 50 კაპ: ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ.

განცხადების ფასი: პირველ და უკანასკნელ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება—2 საათამდის—10 მან.

გაზეთის დაკვეთა შეიძლება თვის პირველ და თხუთმეტ რიცხვებში შემდეგი მისამართით: Кутаисъ, почт. ящ. № 9 Тутку Гварамія.

ქართული უნივერსიტეტი

თფილისში გაიხსნება 1918 წ. იანვრის შუა რიცხვებში

ამ თავითვე იქმნება სიბრძნის მეტყველების ჰუმანიურ მეცნიერებათა განყოფილება. ლექციები იქნება **საფილოსოფიო, საისტორიო, სალიტერატურო, საენათმეცნიერო, საპედაგოგიო და სოციალურ მეცნიერებათა დარგებიდან.**

სტუდენტებათ მიიღებიან საშუალო სასწავლებლებში (ვაჟთა და ქალთა გიმნაზიები, სასულიერო სემინარია (ოთხი კლასი), რეალური, საკომერციო, საეპარქიო და წმ. ნინოს დედათა სასწავლებლები, საოსტატო ინსტიტუტი და სემინარია, კადეტთა კორპუსი და სხვ.) კურს-დამთავრებულნი.

სტუდენტად ჩასარიცხავად საჭიროა: 1) თხოვნა ქართული უნივერსიტეტის დროებითი გამგეობის სახელზე (თხოვნაში აღნიშნული უნდა იყოს მთხოვნელის მისამართი), 2) მოწმობა განათლების ცენზის შესახებ და 3) მეტრიკული მოწმობა (ვაჟთათვის). მსმენელთათვის საჭიროა მხოლოდ თხოვნა.

სწავლის ფასი სემესტრში (ე. ი. ნახევარი წლისა) სტუდენტებისა და მსმენელთათვის ათი თუმანი. იმ მსმენელთათვის კი, რომელთაც მხოლოდ ერთისა ან ორი საგნის მოსმენა სურთ,—ხუთი თუმანი. ფული ჩაწერისთანავე უნდა იყოს შემოტანილი.

ჩაწერა იოსებ ყიფშიძესთან, ქართული უნივერსიტეტის კანცელარიაში (ქართული გიმნაზიის შენობა) 12 ს.—2 საათამდე ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმეებისა.

ფოსტის ადრესი: въ канцелярію Грузинскаго Университета. Тифлис, зданіе Грузинской гимназіи.

ქართული უნივერსიტეტის დრ. გამგეობის წევრნი: **პ. მელიქიშვილი.**
(15—1) **ივ. ჯავახიშვილი.**

სახალხო სახლი

სახალხო სახლთან არსებული ქართული წარმოდგენების მმართველი წრე.

სამშაბათს, 2 იანვარს, 1918 წ. წარმოდგენილი იქნება:

1.

მაღაროს უფროსი მუშა

პიესა 1 მ. გერბიდონისა თარგ. ნ. გოცირ.

2.

ტარტიუფი ანუ მუზმუზელა

კ. 5 მ. მოლიერისა, თარგ. მაჭავარიან.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ბარათაშვილი, მარგველაშვილი, ნინონი, რომანიშვილი-დგებუაძისა. ბ.ბ. განაშვილი, გოცირიძე, გედევანოვი, მინდიაშვილი, მეტრეველი, თავდგირიძე, ჭანკვატაძე, მამაჯანოვი, ჯაბაური.

ადგილების ფასი 1 მ. 20 კ-დან 25 კ-დე. **დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

შემდეგი წარმოდგენა 10 იანვარს.

რეჟ. **კ. შათირიშვილი.**

ქ. თფილისში უსაქმოთ დარჩენილ მუშების საყურადღებოთ.

ქალაქის შრომის ბირჟაში შემოდის მოთხოვნილება სხვადასხვა დარგის მუშათა საჭიროებაზე.

შრომის ბირჟა

წინადადებას აძლევს ყველა ადგილობრივ

უსაქმოდ დარჩენილ მუშებს

ჩაეწერონ ბირჟაში.

ბირჟა ღიაა ყოველ დღე (გარდა კვირა უქმე დღეებისა) **დილის 10 საათ. დღის 3 საათ.**

ბირჟა მოთავსებულია მადათოვის კუნძულზე ზუბალოვის სახლში № 11, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

3—1

დღეს, საღამოს 6 საათზე მეორე კომერციულ სასწავლებლის სადგომში მერვე სამილიციო ნაწილის მცირე კოლექტივი მართავს

ლექციას

თემა: ქალთა კითხვა და სოციალიზმი, მიმდინარე კითხვები.

კბილის საექიმო და ლაბორატორია ხელოვნური კბილებისა, დაარსებული

გ. ხაიკინა-შინკარევის

მიერ, თფილისი, მიხეილის პრ., ს., № 76.

ავათმყოფები მიიღება განუწყვეტლივ დღისით და ღამით.

ღამით მორიგეობა ექიმებისა.

ექიმი

ნ. პ. რუხაძე

იღებს შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ყოველ დღე, გარდა კვირა დღეებისა საღამოს 6-დან 8 საათამდე. მიხეილის პრ., № 78; ბინა 2.

ექიმი გ. მ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 57; აფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისათვის

ყოველ დღიურ გაზეთ

„ერთობა“-ზე

ხელის მოწერის პირობები:

ერთი თვით — **4 მან. 50 კაპ.**

ორი თვით — **9 მანეთი.**

სამი თვით — **13 მან. 50 კაპ.**

ექვსი თვით — **27 მანეთი**

ერთი წლით — **50 მანეთი**

ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ.

ხელის მოწერის პირობები 1 აპრილამდე (ე. ი. პირველ სამ თვეს) ყოველ შემთხვევაში უცვლელი დარჩება, შემდეგ შეიძლება შეიცვალოს თუ ბაზრის მდგომარეობამ გვაიძულა.

გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით: Тифлисъ почт. ящикъ № 199. РЕДАКЦІЯ „ЭРТОБА“.

ამხანაგებს და თანამგრძნობთ ვსთხოვთ ხელის მოწერას ნუ დააყოვნებენ.

ნაციონალიზმი და რეფორმები

მეტათ რთული და გადახლართული მდგომარეობაა შექმნილი ამიერ-კავკასიაში რევოლიუციურ შემოქმედებისთვის. სოციალურ რეფორმების გატარებას არსად იმდენი დაბრკოლება არ ელობება წინ, რამდენიც ამ კუთხეში. პირველი ასეთი დაბრკოლება—მრავალ-ტომიანობაა. კავკასიის სამი მთავარი ერი, ქართველი, სომეხი და თათარი ერთ და იმავე დროს სოციალურ განვითარების საფეხურზე არ დგას. შეგნებით, დემოკრატიის მომზადებით, მოძრაობის განვითარებით ისინი არსებითათ განსხვავდება ერთმანეთისაგან.

სხვა წვრილ ერებზეც რომ არ ვილაპარაკოთ, ეს ერებიც თავის პოლიტიკურ მისწრაფებებით, და ეკონომიურ ცხოვრების პირობებით დიდათ აჭრელებულ ნიადაგს წარმოადგენენ.

ამის გარეშე თვით ეს ერები ერთმანეთში არეულ დარეულათ ცხოვრობენ და ამით ყოველ რეფორმის გატარებას, ყოველ სოციალურ დაწყებულებას მსწრაფლ ეძლევა ეროვნული ელფერი.

ყოველგვარ რეფორმას პირველ ყოვლისა უცქერიან ეროვნული თვალსაზრისით. რომელი ერის წევრთ მისცემს იგი მეტ ან ნაკლებ სარგებლობას? ასე სვამენ საკითხს. განსაკუთრებით უნდა ითქვას ეს იმ ერებზე, რომელთა წრეებში ნაციონალისტური პარტიები არიან გაბატონებული.

კლასობრივი შეგნება დემოკრატიის ამ ერებში ნაკლებ განვითარებულია, პრინციპი კლასთა სოლიდარობის, მიუხედავათ გვარ-ტომობისა—შელახულია; უდიდესი მოძღვრების—მარქსიზმის დებულება, რომ კლასობრივი პარტია მუშათა კლასის იცავს ისეთ ინტერესებს ამ კლასისას, რომელნიც მათი ეროვნული, ჯგუფური, პროფესიონალური ინტერესების მაღლა სდგას, და საერთო, საზოგადო ინტერესებს წარმოადგენს, უარყოფილია. ნაციონალიზმი ამ დებულებას ყირამალა აყენებს. და ეროვნული მოსაზრებები თვით ხალხის რეალურ, ნამდვილ ინტერესებზე მაღლა სდგება.

ავილოთ თუნდ ისეთი საკითხი, როგორც მიწის კონფისკაციის საკითხია. მიწა ყველა გლეხს უნდა მიეცეს, უნდა მიეცეს იმდენი, რამდენიც მის სარჩენათ საჭიროა. განა სომეხი, თათარი, რუსი, ქართველი ამ შემთხვევაში ერთი და იგივე გაჭირვებას არ განიცდიან და ერთსა და იმავე საშვალებას არ მოითხოვენ?

ცხადია, აქედან ასეთ რეფორმის დაუყონებლივ განხორციელებაში ერთნაირათ დაინტერესებული უნდა იყოს სომხის გლეხი და თათრის, რუსის და ქართველის. ყველა მემამულენი მათი წინაალმდეგნი არიან. თათრის ბეგები და ქართველი თავადები, სომხის კლერიკალები და მუსულმანთა სამღვდელოება ერთსულოვნათ ილვწიან გლეხების წინაალმდეგ თავის ბატონობის შესანარჩუნებლათ.

მარა ნაციონალიზმმა აქაც სწორი გზა გაუმრუდა გლეხკაცობას.

სომხის გლეხს ჩააგონეს, რომ მიწა მას უნდა ერგოს და არა თათარს, თათრის გლეხს მოაჩვენეს, რომ მის მიწას სომეხი და სხვა ერის გლეხი ეპატრონება. აქედან წარმოსდგა საშიშროება სოციალურ რეფორმის მაგიერ ნაციონალურ შუღლის და შეჯახების მიღების. და კავკასიის კომისარიატი კი იძულებული შეიქნა ამ ნაციონალურ მომენტისთვის ანგარიში გაეწია: აგრარულ დებულებაში აღნიშნულია, რომ მიწების გადაცემას გლეხებისთვის წინ უნდა უძღოდეს ტერიტორიის გადამიჯვნა ერთა შორის სადაო ადგილებში.

ამრიგათ ერთი შეფერხება უკვე მოგვცა ნაციონალიზმმა. რომ გლეხებში ასეთ ნაციონალისტურ მიდრეკილებებს ადგილი არ ქონოდა, რომ თათრის გლეხი სომხის გლეხების მიერ დაჩაგვრით არ დაეშინებიათ და სომეხი—თათრის მაიორიზაციით, რომ მათ შორის კლასობრივი სოლიდარობის წმინდა ნაპერწკალი გაღვივებულიყო და ორივენი მემამულეთა და მჲვლეფელთა კლასს დაპირდაპირებოდენ, ასეთი გადამიჯვნა-გადმომიჯვნა აგრარულ რეფორმას წინ ზღუდეთ არ დაუდგებოდა.

მარა ნაციონალიზმის დაბრკოლებანი ამით არ თავდება. გადამიჯვნა ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია ნაციონალიზმის.

ნაციონალისტური პრინციპი აერთებს ბეგებს და თათრის გლეხებს, სომხის ეკლესიას და სომხის ღატაკ გლეხკაცობას. ესე იგი მიწის მფლობელთ და იმათ, ვინც ეს მიწა უნდა ჩაიგდოს ხელში. აქ ერთდებიან ბატონი და მონა—იმის მაგიერ, რომ ერთმანეთს დაუპირდაპირდენ. ამით თვით რეფორმას ეცლება ნიადაგი. ამ რეფორმის გარშემო კი არ ტრიალებს სოციალური ბრძოლა, არამედ სხვა ხაზზე, დ ესაა ხაზი გვარტომობის.

აქ იყოფა რაზმი გლეხების მოპირდაპირე ჯგუფებათ და ასუსტებს რა ერთი მეორეს, ამით ნიადაგს აცლის ფეხ ქვეშიდან სოციალურ რეფორმების განხორციელებას.

და სანამ თათრის და სომხის გლეხობა არ შეიგნებს ნაციონალისტური პოლიტიკის მთელ მავნებლობებს, მის დამღუპველ გავლენას გლეხების, სოფლის ყველა ღარიბ-ღატაკების სამკვდრო სასიცოცხლო ინტერესებზე, მანამდე რიგიანათ ჩატარება აგრარული რეფორმის შეუძლებელი იქნება.

თათრის ბეგის მიწაზე ცხოვრობს არა ერთი და ორი სოფელი სომხის, სომხის ეკლესიის მამულებზე—თათრის გლეხები, ქართველ თავადებს არა ერთი და ორი ხიზანი ოსი ყავთ, სომხის გლეხებიც არიან გორის და სხვა მაზრებში. ცხადია კლასობრივი სამართლიანობის თვალსაზრისით თვითეული ეს გლეხობა პირველ ყოვლისა იქ უნდა დაკმაყოფილდენ, სადაც ცხოვრობენ, და იმ გარემოებას, თუ რომელი ერის მემამულისაგან ეძლევათ მათ მიწა, ყურადღება არ უნდა მიექცეს. მიწა—მშრომელს—ასეთი ლოზუნგი და არა მიწა ქართველს, სომეხს, თათარს ან სხვ. არა-გვარტომობას, არამედ შრომას,—ასეთია მოთხოვნილება შეგნებული გლეხკაცობის.

ეროვნული მომენტის შეტანა ამ კითხვაში ძმათა შორის საშინელ გამწვავების შექმნის, შეიძლება სისხლის ღვრაც გამოიწვიოს და ამით თვით რეფორმა ყინულზე გარიყოს. მაშინ ყველა ტომის ისე გლეხები პირ-ჩალა გამოვლებული დარჩებიან.

ასეთია სირთულე ამიერ კავკასიის მდგომარეობის. ბრძოლა ასეთ საფრთხესთან, დაუყონებლივ მიღება ყოველგვარი ზომების მოსალოდნელ საფრთხის წინაალმდეგ და პირველ ყოვლისა სასტიკი შეუბრალებელი ბრძოლა ნაციონალისტურ მიდრეკილებებთან, აი მთავარი და დაუყონებლივი სამოქმედო მიზანი ამიერ კავკასიის დემოკრატიის. და ამ მიზნის გარშემო უნდა შემოკრბენ ყველა შეგნებული ძალები, რომელთაც სურთ ამიერ კავკასიაში იგემონ რევოლიუციის ნაყოფი და თავიდან მოიშორონ ისეთი საშინელებანი შეუგნებლობის და პროვოკაციის, როგორიც არის განჯის, ახალციხის, დარიალის ხეობის და სხვა ამგვარი ამბები.

დამფუძნებელი კრება და ტერორი

გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ერთმა მეთაურთაგანმა სთქვა: „იარაღი კარგი რამ არის, მეგობრებო, მაგრამ თავშიაც უნდა გედოთ რამეო“.

ეს ბრძნული თქმა ბალშევიკების მოღვაწეობას გვაგონებს. მათ მუდამ ენაზე აკერიათ გამბედაობა, რევოლიუცია და კონტრ-რევოლიუცია, სამოქალაქო ომი, ბურჟუაზიის შემუსვრა.

მარქსმა და მის მეცნიერებაზე აღზრდილმა თეორეტიკოსებმა საკმაოთ დაასაბუთეს ის დებულება, რომ რევოლიუციის დამახასიათებელი, მისი სული და გულია ერთი კლასის ადგილზე, მეორე კლასის გაბატონება, ერთი დრომოჭმული წყობილების დანგრევა და მის ალაგას მეორე წყობილების დამყარება. თავის-თავათ იგულისხმება, რომ გაბატონებული კლასი, მიუხედავათ მისი ცხოვრებასთან შეუსაბამობისა, ნებით არ დასთმობს თავის უპირატესობას და ბრძოლა აუცილებელი ხდება. მაგრამ ბრძოლა და სისხლის-ღვრა როდია რევოლიუციის დამახასიათებელი თვისება. ამიტომ ისტორიამ არა ერთი და ორი აჯანყება იცის, რომელსაც არავითარი ცვლილება არ მოყოლია. პირიქით, როცა შემცდარი ნაბიჯი გადაუდგამთ, ამას სასტიკი დამარცხება მოყოლია და მოძრაობა რამდენიმე ათეულ წლებით უკან დაუწევია. ასეთი იყო პარიზის კომუნარების აჯანყება 1871 წელს.

კომუნამ განიზრახა სოციალიზმის განხორციელება, ხოლო რადგან საფრანგეთი ამისთვის მომზადებული არ იყო, ის დამარცხდა და რამდენიმე ათასი მუშა დახვრეტილ იქნა. ამას მოყვა ძლიერი რეაქცია, მუშათა კლასის დასუსტება და ანარქო-სინდიკალისტების გაძლიერება.

ისტორიის ამ მწარე გაკვეთილმა ბალშევიკებს ჭკუა ვერ ასწავლა. ისინი მიუხედავათ რუსეთის ეკონომიურ და კულტურულ ჩამორჩენისა, მაინც ცდილობენ მეცნიერების და ისტორიის მიერ დაგმობილ ნაბიჯის დადადგმას და ახლო მომავალში სოციალიზმის განხორციელებას.

ამიტომ უპირდაპირებენ ისინი ერთმანეთს დამფუძნებელ კრებას და მუშათა დეპუტატების საბჭოებს. მთელი ძალაუფლება საბჭოებს, ამბობენ ისინი და დამფუძნებელ კრებას ცნობენ იმდენათ, რამდენათ ეს უკანასკნელი საბჭოების ნება სურვილებს დაემორჩილება.

მათი შეხედულობით სხვანაირათ არც შეიძლება: სოციალიზმის განხორციელების ერთგული დამცველი იქნება მუშათა კლასის ის ნაწილი, რომელიც დღეს ბალშევიკების საბჭოებშია მოკალათებული; დამფუძნებელი კრება კი მთელი ხალხის მიერ იქნება არჩეული და ბალშევიკები კარგათ გრძნობენ, რომ რუსეთის ხალხის დიდი უმრავლესობა მათ შეხედულობებს არ იზიარებს. ამიტომ ისინი კანტროლს უშვებიან მთელი ხალხის ნებას, მას აპეკუნათ ევლინებიან და აცხადებენ: ხალხის მტრებს დამფუძნებელ კრებაში ადგილი არ უნდა ექნესო, ხოლო ხალხის მტრებათ აცხადებენ არა მარტო ბურჟუაზიას, არამედ მენშევიკებს და სოციალისტ-რევოლიუციონერებს და საერთოთ ყველას—არა ბალშევიკს. და ამ ვითომდა ხალხის მტრებს აქიდანვე უცხადებენ ბრძოლას: სოციალისტ-რევოლიუციონერების მეთაური ავქსენტიევი დააპატიმრეს, მრავალი გაზეთები დახურეს, ეძებენ მილიუკოვს და კერენსკის, ატუსაღებენ მუშათა ორგანიზაციებს, პეტროგრადის და მოსკოვის ქალაქის საბჭოებს, თუმცა ესენი მთელი ხალხის მიერ იყო არჩეული, დიდი ხანია გარეკეს და საბჭოების მეთაურებს ციხით გაუმასპინძლდენ. ერთი სიტყვით, ბალშევიკებმა მიმართეს თავიანთ მოპირდაპირეთა ძალით დამორჩილებას, მათ დათრგუნვას ან დაშინებას, უცხო სიტყვით რომ ვთქვათ მათ შემოიღეს **ტერორი**.

ჩვენ წინაალმდეგი არ ვყოფილვართ და არც ვიქნებით საჭიროების დროს მავნე პირთა დატუსაღების, მაგრამ ასეთი მავნე პირებია იმ წოდების წარმომადგენელნი, რომელსაც ყოველივე მნიშვნელობა დაეკარგა ცხოვრებაში—ასეთია, მაგალითად, მემამულეთა წოდება. მაგრამ ტერორის ამუშავება იმ კლასის წინაალმდეგ, რომელიც ხალხის უმრავლესობას შეადგენს—ეს ისეთივე თავხედობაა, როგორიც თვითმპყრობელობას სჩვეოდა. ამიტომ შეუწყნარებლათ მიგვაჩნია ჩვენ ბრძოლა როგორც საერთოდ დამფუძნებელ კრების, ისე მისი რომელიმე ნაწილის წინაალმდეგ.

ვიტყვით ბალშევიკების საყვარელ სიტყვებით, რომ დამფუძნებელი კრება არ არის კერპი. რაკი იქ სხვადასხვა კლასების და ჯგუფების წარმომადგენლები იქნებიან თავმოყრილი, მათმა ერთმანეთის წინაალმდეგ ბრძოლამ, შეიძლება, შეასუსტოს მისი რევოლიუციონური ენერგია, შესაძლებელია, თვით დეპუტატებიც მუშაობის დროს რამდენიმეთ დაშორდენ რევოლიუციონურ ხალხს. შესაძლებელია, საჭირო გახდეს დამფუძნებელ კრებაზე გავლენის მოხდენა. ეს შეუძლია, იმ კლასს, რომლის რევოლიუციონური სული უფრო ძლიერია, ეს შეუძლია თავის მდგომარეობის გამო ყველაზე რევოლიუციონურ კლასს—პროლეტარიატს და მის მიმყოლს მშრომელს გლეხ-კაცობას. ეს გავლენის მომხდენი ძალა იქნება მუშათა და გლეხთა საბჭოები, რომელნიც თავის მხრით დაემყარებიან ხალხის ფართო მასსას, მის უმრავლესობას. და თუ ისტორია გასწირავს დამფუძნებელ კრებას და საჭირო გახდება მისი გარეკა, ამას მოიმოქმედებს მთელი ხალხი საბჭოების მეთაურობით.

ამიტომ დაგმო კავკასიის მუშათა დეპუტატების საგანგებო ყრილობამ ბალშევიკური ძალმომრეობა დამფუძნებელ კრების წევრებზე და თავის რეზოლუციაში მოუწოდებს ყველა მშრომელთ შექმნან ერთი რევოლუციონური ფრონტი, შემოკრბენ დამფუძნებელ კრების გარშემო და თვით დამფუძნებელ კრებაში მხარი დაუჭირონ სოციალისტურ და დემოკრატიულ ელემენტებს **ძლიერ მუშათა, გლეხთა და სალდათთა დეპუტატების საბჭოებზე დაყრდნობით.**

როგორც მკითხველი ხედავს, ჩვენსა და ბალშევიკების გეგმას შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორიც მთასა და ბარს შორის.

ჩვენ ვანხორციელებთ დემოკრატიულ წყობილებას იმ სოციალურ გაუმჯობესებით, რომელიც დღეს შესაძლებელია. ამისთვის ჩვენ ვაერთებთ ყველა სოციალისტურ და დემოკრატიულ ძალებს, ვაძლიერებთ რევოლუციას.

ბალშევიკები ფიქრობენ გააკეთონ ის, რის გაკეთება დღევანდელ პირობებში შეუძლებელია, ისინი ებღაუჭებიან სოციალიზმს. ამისთვის განხეთქილებას ახდენენ დემოკრატიულ რაზმებში, ხელს უწყობენ ძალთა დაქსაქსვას, სახელს უტეხენ დამფუძნებელ კრებას და თვით მუშათა მოძრაობას, საბჭოების სახელს და გავლენას. საბჭოების გავლენის მოსპობით კი ასუსტებენ რევოლუციას, საფრთხეში აგდებენ სისხლით მოპოებულ თავისუფლებას.

ამიტომ გამოეთიშენ ისინი საერთო მოძრაობას, ამიტომ დასტოვეს მათ მუშათა ყრილობა.

მუშათა კლასი ვალდებულია არსებული მდგომარეობა გაითვალისწინოს და კითხოს თავის თავს რა უნდა აკეთოს მან და ვის არ უნდა გაყვეს.

ამიერ კავკასიის მუშათა საბჭოებს

სურსათის საკითხი მეტის-მეტათ თავსატეხ საკითხათ შეიქნა. ყოველდღე შიმშილის აჩრდილის წინაშე ვდგევართ და როდის დავახწევთ თავს ამ კრიტიკულ მდგომარეობას, არავინ იცის. პირიქით, მდგომარეობა დღითი დღე უარესდება. რუსეთის დაქუცმაცება ცალკ-ცალკე რესპუბლიკებათ და ყველგან თავის განსაკუთრებული პოლიტიკის გაბატონება მრავალგვარ სიურპრიზებს გვიმზადებს ამ მხრით. თვით პურის მოწოდებაც, შეიძლება, პოლიტიკურ საკითხათ გადაიქცეს, ან კუთხურ ინტერესებს დაექვემდებაროს.

ამ დაბრკოლებებსაც რომ თავი მოვუაროთ, კიდევ რჩება ბევრი სხვაც: ფულის ნიშნების ნაკლებობა, ურომლისოთ პურს არ იძლევიან, გზების გაფუჭება და ამით გადმოზიდვის საქმის უკიდურესათ გართულება.

ამრიგათ იმ დაწესებულებებს, რომელნიც სურსათის მოწოდების საქმეს განაგებენ, აუტანელ პირობებში უხდებათ მუშაობა. მშიერი კუჭი კი ყველა ამ პირობების განკითხვაში არ შედის. იგი პურს თხოულობს და თუ არ მიაწოდე, არეულობის მოხდენას იმუქრება.

ამ გვარი მდგომარეობა ქმნის ვალდებულობას ყველა რევოლუციონურ ორგანოებისთვის, რამდენათაც კი შესაძლებელია ხელი შეუწყონ სურსათის შემოტანის საქმეს და მის წესიერათ განაწილებას.

სამწუხაროთ უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენში სუსტებს, როგორც პირველი ისე მეორე. შემოტანის სიძნელეს თან ერთვის განაწილების უწესრიგობა და ანარქიულობა. ყოველი ქალაქი, ყოველი კუთხე ვიწრო კუთხური ეგოიზმით ხელმძღვანელობს და საერთო შემუშავებულ გეგმას არღვევს, რასაკვირველია თავის სასარგებლოთ.

ასე იქცევიან განსაკუთრებით ის ქალაქები, რომელზედაც სურსათმა უნდა გამოიაროს. ჩვეულებრივ სურსათი მოდის ვლადიკავკასის რკინის გზით და შავი ზღვით. პირველ გზას უხვდება ბაქო და ითვისებს ჩამოტანილის უდიდეს ნაწილს, მეორე გზას სოხუმი და ფოთი ყარაულობს და ასევე პირველ ყოვლისა თავის ინტერესების უზრუნველყოფაზე ზრუნავს. კიდევ უფრო სამწუხაროა, რომ ხშირათ ადგილობრივი რევოლუციონური ორგანოები ერევიან სასურსათო კომიტეტის აგენტების მოქმედებაში და ხელს უშლიან მას მიღებულ ინსტრუქციისამებრ სურსათის განაწილებაში.

მიღებულ ცნობებით მაგალითათ ფოთი მთელი თვის თადარიგს იჭერს იმ დროს, როცა თფილისისთვის გადადებული ნაწილი ნახევრდება და ამით ეს ვეებერთელა ქალაქი და მთავარი ტონის მიმცემი მთელი ამიერ კავკასიის დღითი დღე ძლივს იკვებება.

ცხადია, თუ შემოტანილ სურსათის ნაკლებობის შინ განაწილებას ასეთი ანარქია დაერთო, დიდი ქალაქების და შორეულ მაზრების დამშევა აუცილებელია.

ჩვენ ვაქცევთ მუშათა საბჭოების ყურადღებას ამ გარემოებას. განსაკუთრებით იმ ქალაქის მუშათა საბჭოების, რომელნიც სურსათის მოსატან გზაზე იმყოფებიან. მათ უნდა მიიღონ ზომები, რომ ასეთ ანარქიულ გამოსვლებს ადგილი არ ექნეს და სასურსათო ორგანოებს შეძლება მიეცეთ თანასწორათ გაანაწილონ სიწორით და გაჭირვებით შემოტანილი პური და სხვა სანოვაგე.

პრესა

„სახალხო საქმე“ სისწორით აღნიშნავს დღევანდელ მდგომარეობის საშინელებას და მოუწოდებს ყველას თავდაცვისაკენ. მაგრამ ის საშუალება, რომელზედაც ფედერალისტების გაზეთი მიუთითებს, ჩვენ უვარგისათ მიგვაჩნია. ის სწერს: „დაუყონებლივ უნდა შესდგეს ქართული ჯარი, თუ მეტი არა—ერთი კორპუსი მაინც ეხლავე უნდა შესრულდეს. ამისთვის არ უნდა მოვერიდოთ იმასაც, რომ ახალი მობილიზაცია დაგვჭირდეს“.

აშკარაა, ფედერალისტები მუდმივი ჯარის შედგენას თხოულობენ და ამისთვის ახლავე მობილიზაციის გამოცხადებას ფიქრობენ.

ჩვენ მუდმივი ჯარის წინაამდეგი ვართ, რადგან ასეთი ჯარი, ვისგანაც უნდა შესდგებოდეს ის, ხალხს შორდება. დასამტკიცებლათ შორს წასვლა არ მოგვიხდება, მოვიყვანთ მხოლოდ იმ ცნობას, რომელიც „სახალხო საქმის“ იმავ ნომერშია მოთავსებული, რომლიდანაც ზემოთ აღნიშნული ამონაწერი მოგვყავს. „24 დეკემბერს გორის სამაზრო კომისარიატის სახელზე ჩამოვიდა იარაღი. დახვდა მე-4 ქართვ. პოლკის ჯარისკაცები და აღარ დაანებეს. ცხენოსან მილიციას აჰყარეს იარაღი.

„საზოგადო ცხოვრების მყუდროება თანდათან ირღვევა. მყუდროებას არღვევენ და უწესოებას სჩადიან მეტ წილათ აქ მდგარი მეოთხე ქართულ პოლკის ჯარისკაცები. სადგურის უბანში, სადაც ამ პოლკის ნაწილი სდგას, ხშირათ არის სროლა. ისვრიან მთვრალი ჯარისკაცები“ (სახალხო საქმე“ № 133, 29 დეკ.).

ამიტომ ვფიქრობთ ჩვენ, რომ საჭიროა სახალხო მილიციის შედგენა და ჯარიც მხოლოდ გადასასვლელი საფეხური უნდა იყოს.

* * *

ბალშევიკებს ჩვენმა ეროვნულმა დემოკრატებმაც დაუმშვენეს მხარი ამიერ კავკასიის კომისარიატთან ბრძოლაში. როგორც დარბაისელ რეაქციონერებს სჩვევიათ, ნაციონალ-დემოკრატები დღემდის სდუმდენ, მაგრამ როცა დაინახეს, რომ აქა-იქ არეულობა ხდება, გადასწყვიტეს ჩვენთვისაც დგება ბედნიერი დღეებიო და ადგილობრივ მთავრობას ბრალდებას უყენებენ. გაზეთი „საქართველო“ (№ 282—29 დეკ.) მეთაურ წერილში სწერს: „რუსეთში დაწყებული ანარქია და არევ-დარევა კავკასიაშიც გადმოვიდა, ახალ კომისარიატს მიუძღვის ამაში ბრალი თავის სოციალური რეფორმების ექსპერიმენტებით“-ო. ამ „სოციალურ ექსპერიმენტებიდან“ საქართველოს ყველაზე უფრო აბრაზებს მიწის დეკრეტი. „საქართველოს“ სასახელოთ უნდა ითქვას, რომ მან გაცილებით მეტი ჭკუა და რიგიანობა გამოიჩინა მიწის დეკრეტის დაფასებაში, ვინემ ბალშევიკების ლიდერმა ფ. მ. ფ. მ. დასწერა მიწის დეკრეტით მენშევიკები გლეხებს ატყუებენ და თავადებს შეელიანო, თავადების ქომაგი „საქართველო“ კი ყვირის მიწებს ნუ გვართმევთო.

ჩვენ პატივს ვსცემთ „საქართველოს“ მადას, არ გვიკვირს, რომ მიწის დეკრეტის წინაამდეგ ილაშქრებს, მაგრამ რათ გონია მას, რომ ანარქიის მოსპობა ჩვენ არ გვაინტერესებს.

პირიქით, მიწის დეკრეტის განხორციელება და თავადების ალაგმვა—საუკეთესო საშუალებაა ანარქიის მოსასპობათ.

* * *

ბალშევიკების „ბრძოლა“ ჩვენ გვიკიჟინებს ცილის წამებას და წინაამდეგობაში ჩავარდნას. ის ძალიან გაუბრაზებია ჩვენს შენიშვნას, რომ „ბალშევიკების ზავის პოლიტიკა დაქანცულ სალდათების შინ გაქცევის პოლიტიკათ გადაიქცა“ და რიხით გვეკითხება: „ვინ არ იცის, რომ ბალშევიკები თავიდანვე (თებერვალ-მარტიდან) იცავენ ლოზუნგს: ზავზე მოლაპარაკება და **ფრონტის გამაგრება. ამ გზას ადგენ ბალშევიკები, როცა ოპოზიციაში იყვენ ობორონცულ-კოალიციურ მთავრობასთან. ამავე გზას ადგიან ეხლაც, როცა მთავრობას სათავეში მოექცენ** (ხაზი ჩვენია). ეს ჩვენ პირველათ გვესმის ბალშევიკების ბაგეთაგან. „ზავზე მოლაპარაკება და ფრონტის გამაგრება“—ეს ხომ მენშევიკების ტაქტიკა იყო იმ თავიდან ₫ ამისთვის წამ და უწუმ გასაჯავრებლათ გვეძახიან ბალშევიკები „ობორონცებს“. „ბრძოლა“, თქვენ გგონიათ რამეთი ასაბუთებს ამ ახალ აზრს? სრულიად არა. ის ჩვენგანვე თხოულობს დამტკიცებას, ის სწერს: „ერთობამ ერთი პატარა დოკუმენტი მაინც მოიყვანოს იმის დასამტკიცებლათ, რომ ბალშევიკებმა ოდნავ მაინც გადაუხვიეს ამ გზას“-ო.

გულწრფელათ გვინდა „ბრძოლის“ მოთხოვნა შევასრულოთ, მაგრამ ეს შეუძლებელია: ჩვენ გადავსინჯეთ ბალშევიკების ნათქვამი და ნამოქმედარი და მართლა ვერ ვპოვეთ ვერც ერთი დოკუმენტი იმის დასამტკიცებლათ, რომ ბალშევიკებს **ფრონტის გამაგრებაზე** ეზრუნათ.

იქნებ გაისარჯონ და თითონ მოიყვანონ ასეთი დოკუმენტები!

„გალმით გაედავეო“ ნათქვამია, „ბრძოლა“-ც ისე იქცევა. მას აუღია მოწოდება „ქართველ მხედრობას“ და დასკვნა გამოჰყავს თქვენ თითონ უწყობთ ხელს ფრონტის გაშიშვლებასო. ასეთი დასკვნა ბალშევიკურ ფანტაზიის ნაყოფია. ფრონტი თავის თავათ ტიტვლდება, ამ გატიტვლებას აჩქარებს ბალშევიკების აგიტაცია. ასეთ გარემოებაში ჩვენ ვირჩევთ „ორი ბოროტებიდან უფრო ნაკლებ ბოროტებას“ და ქართველ ჯარისკაცებს ვურჩევთ ქართულ პოლკში ჩაწერას. ამიტომ ახირებულია „ბრძოლის“ შეკითხვა „რათ ამათრახებთ მოწოდების ავტორთო“—ჩვენ „ვამათრახებთ“ „ბრძოლის“ უპასუხისმგებლო ავანტიურისტებს და არა მოწოდების ავტორთ.

ასევე „გალმით“ გვედავება „ბრძოლა“ ზავის საკითხის საქმეშიაც. ჩვენ დავგმეთ ბალშევიკების მიერ საერთაშორისო მოძრაობის ღალატი და ვილჰელმის წინაშე ხოხვა. ჩვენთან ერთად დაგმეს ბალშევიკები რუსეთის ყველა სოციალისტებმა და საზღვარ გარეთელ ამხანაგებმა. „ბრძოლა“ კი გვეუბნება „ეს პლანი არ ახალია, ძველიაო, ეს ლენინის მთავრობის პროგრამის ნაწილიაო“.

საბუთი? მაგრამ „ბრძოლას“ რათ უნდა საბუთი, როცა მის ხელთ არის დემაგოგია და საკუთარ ცოდვების სხვისთვის გადაბრალება.

დასასრულ „ბრძოლას“ ჰგონია, რომ წინააღმდეგობაში დაგვიჭირა. ჩვენ დავსწერეთ, რომ საიდუმლო ხელშეკრულობების გამოქვეყნებით ხალხმა დაინახა, თუ როგორ ვაჭრობდენ მისი სისხლით. ამას ჩვენ არასოდეს არ უარვყოფთ. მაგრამ ეს საქმის ერთი მხარეა და სულაც არ ამართლებს ბალშევიკების მოქმედებას იმ გარემოებაში, რომელშიაც მათ ეს ხელშეკრულობები გამოაქვეყნეს. ეს ყოველმა ადამიანმა იცის. არ იციან მხოლოდ ბალშევიკებმა, რომლებმაც დაჰკარგეს უნარი თავისი მოქმედების ერთი აქტი მეორეს დაუკავშირონ და ერთი მთლიანი საქმე მიიღონ. ამიტომ მხოლოდ „ბრძოლას“ შეეძლო წინააღმდეგობა დაენახა „ერთობის“ მიერ ხელშეკრულობების გამოქვეყნების აღნიშნულ დაფასებასა და საერთოდ კომისართა საბჭოს მოღვაწეობის უნაყოფობის აღიარების შორის.

* * *

ბალშევიკების რუსული გამოცემა „კავკაზსკი რაბოჩი“ ისევ შეუდგა თავის ნაცად მოღვაწეობას, მცხოვრებთა ერთი ნაწილის მეორე ნაწილის წინააღმდეგ ამხედრებას. დღეს, როცა მთელი კუთხე განსაცდელშია, როცა თათრების ბეგებმა უკვე შესძლეს ანარქიის ალის დანთება და შესაძლოა კავკასიის მრავალი ველური ტომები აიყოლიონ, ყოველი ჭეშმარიტი დემოკრატი და ყველა რიგიანი ადამიანი უნდა ცდილობდეს დემოკრატიის გაერთიანებას. ყველას ყურადღება მუშათა, სალდათთა და გლეხთა დეპუტატებისკენ არის მიმართული. ეს მარტივი დემოკრატიული მოვალეობა ვერ შეიგნეს მხოლოდ ბალშევიკებმა და ჯარის ცენტრში რასკოლი მოახდინეს. ვინც თუნდაც მარტო „ერთობის“ გუშინდელი ნომერი წაიკითხა, მას ეცოდინება, თუ ვინ არის რასკოლის გამომწვევი. რაც უნდა იყოს, ერთი ცხადია: არმიის ცენტრში ბალშევიკებს მხოლოდ 52 ხმა აქვთ 48 ხმის წინააღმდეგ, ესე იგი ოთხი ხმა აქვთ მეტი. გარდა ამისა არმიის ცენტრი ნაწილია მუშათა და გლეხთა ცენტრების. აქედან ცხადია—იხინი უნდა დაემორჩილონ სამი ცენტრის შეერთებულ კრებულს. ისინი კი ცდილობენ თავისი ოთხი ხმით მთელ კავკასიის ცხოვრების სათავეში ჩადგომას. ეს დარღვევაა ყოველგვარ დემოკრატიზმის. და რაკი ამ აშკარა უსამართლობას არ ემორჩილებიან, ბალშევიკები პირდაპირ ჯარს მიმართავენ და სისხლის დასაღვრელათ მოუწოდებენ. „კავკაზსკი რაბოჩის“ გუშინდელ ნომერში (№ 230) პირველ გვერდზე უშველებელი ასოებით სწერენ:

„ჯარისა და მთელი კუთხისათვის ამ მეტათ მძიმე მომენტში ობორონცებმა ზურგში ჩასცეს ხმალი შიმშილით და სიცივით შეწუხებულ შინ მიმავალ ჯარს, რადგან მოშალეს ცენტრის საბჭო, რომელიც მოწოდებულია ჯარის საჭიროებას ემსახუროს. მათ ხელში ჩაიგდეს ჯარის მთელი ქონება.

„რევოლუციონურმა არმიამ დეე გაიგოს, რომ გამცემთა მცირე ჯგუფი, რომელმაც მოღალატური ნაბიჯი გადადგა, იწვევს სამოქალაქო ომს და მთელი პასუხის-მგებლობა დამღუპველ შედეგებისათვის თავს დაატყდება ობორონცულ-შოვინისტურ პარტიებს, რომელთა სურვილისამებრ მოქმედებენ რასკოლნიკები“.

ასე გვაბეზღებენ ბალშევიკები „შიმშილით და სიცივით შეწუხებულ“ ჯარის წინაშე და კავკასიის დემოკრატიის წინაამდეგ მოუწოდებენ.

კავკასიის დემოკრატია ჯარის პატიოსან და შეგნებულ ნაწილთან ერთად სამარცხვინო ბოძზე გააკრავს ამ შავ რაინდებს და ეტყვის: შორს თქვენი **სისხლიანი ხელები!**

ამ შავ და სისხლიან რაინდებს კიდევ შესწევთ გაბედულება სალდათებს მიმართონ მოწოდებით: „ყრილობამ უარყო ამიერ-კავკასიის კომისარიატი როგორც არა რევოლუციონური და არა საბჭოს ორგანოო“. მაშ ვისი ორგანოა კომისარიატი, თუ არა საბჭოების, რომელმაც ის აირჩია?

ზიზღი მატყუარებს!

მიმართვა

მთელს ინტერნაციონალს, მეომარ და ნეიტრალურ სახელმწიფოთა ყველა სოციალისტურ პარტიებისადმი.

ამხანაგებო! პეტროგრადში, მოსკოვში, ზოგიერთ ქალაქებში, და ჯარების ნაწილებში ბალშევიკების პარტიის მიერ ლენინ-ტროცკის მეთაურობით ძალა-უფლების ხელში ჩაგდებას ევროპაში ისე უყურებენ, როგორც სოციალისტური რევოლუციის დასაწყისს რუსეთში. ამ ჟამად პეტროგრადში შეკრებილი საგანგებო ყრილობა რუს. სოც.-დემ. მუშ. პარტიისა თავის მოვალეობათ რაცხს განუმარტოს მთელი ქვეყნის მუშებს და სოციალისტებს რუსეთის მდგომარეობის ნამდვილი ვითარება.

ახლო მომავალში ზავის ჩამოგდების იმედის დაღუპვამ, ეკონომიურმა არევდარევამ, ტრანსპორტის საქმის არევამ და ჯარის საჭირო საგნებით ვერ უზრუნველყოფამ, ჩვენი ჯარი და ხალხის ფართო მასსა სასოწარკვეთილებაში ჩააგდო. ასე შეიქმნა ისეთი პირობები, როცა ჩამორჩენილი მუშათა მასსა, რომელიც ომის დროს მცხოვრებთა სხვადასხვა წრის შემთხვევითი ელემენტებისაგან იქნა შევსებული, აი ეს მასსა მოკლებული იყო პროლეტარულ გამოცდილებას და კლასიურ თვითშეგნებას და ამიტომ მას სულ ადვილათ შეეძლო გაჰყოლოდა იმ დემაგოგიურ პარტიას, რომელმაც დიდი ძალა მიიღო მილიონობით დაღლილ -დაქანცული ჯარისკაცების სახით, რომლებიც მზათ იყვენ მხარი დაეჭირათ ყველასათვის, ვინც კი მათ დაუყოვნებლივ ზავის ჩამოგდებას აღუთქვამდა.

ასეთ პარტიათ გაჩნდა ბალშევიკების პარტია; ანარქიზმით გაჟღენთილი, ეს პარტია სულ უფრო და უფრო გადაიქცა ჯარისკაცთა „ბუნტის“ პარტიათ. გამარტივებულ იქნა სოციალიზმის შეგნება ამ ჩამორჩენილი მუშების, გლეხების და კლასობრივ შეგნებას მოკლებულ ჯარისკაცების მასსისათვის, რომელთაც სოციალიზმი ისე გაეგებათ, როგორც მდიდარ კლასთა ქონების გაყოფვა.

ჩაიგდეს რა ხელში ძალა-უფლება წმინდა სამხედრო შეთქმულებით, ბალშევიკებმა, თუმცა ისინი ხალხის დიდმა უმრავლესობამ არ სცნო, საჩქაროთ შეუდგენ ცხოვრებაში იმ ზომების გატარებას, რაც მათ დემაგოგიურ აღთქმას შეიცავდა.

ამასთან გამოირკვა, რომ საგარეო და საშინაო პოლიტიკის სფეროში ისინი არა თუ სოციალიზმის, არამედ—საერთოდ დემოკრატიული პრინციპების საწინააღმდეგო გზას დაადგენ.

აღუთქვეს რა დემოკრატიული ზავი ერებს მათი მთავრობების დაუკითხავათ, ლენინ-ტროცკიმ მოლაპარაკება გამართეს გერმანიის იმპერიალიზმის და გინდენბურგის შტაბის აგენტებთან, რომელთაც ქვეყანა მიჰყავთ სეპარატიული ზავის და გერმანიის იმპერიალიზმის გაძლიერებისაკენ.

ფაბრიკების ხელში ჩაგდებით ბალშევიკებმა სრულიად დაანგრიეს მრეწველობა, ვაჭრობა და ქვეყნის ეკონომიური ცხოვრება, რომ აეძულებიათ ხალხი ეცნოთ მათი მთავრობა, მათ მოაწყვეს პროვოკაციულათ დემოკრატიის შორის სამოქალაქო ომი და ხელი შეუწყვეს რუსეთის დანგრევას, მის ცალ-ცალკე ოლქებათ დაყოფვას. მოწინააღმდეგე პოლიტიკური პარტიების წინააღმდეგ ბრძოლის დროს არა თუ ბურჟუაზიული, არამედ სოციალისტური და ჩვენი პარტიის წევრთა მიმართ მათ შემოიღეს მაძებრობა „სისკი“, ღამით ჩხრეკა, ბინებზე ჩასაფრება, ინკვიზიტორული ჩვენების ჩამორთმევა, ხშირად დახვრეტის შიშით ჩვენების გამოტყუება. ბალშევიკები ხურავენ არა თუ ბურჟუაზიულ, არამედ—სოციალისტურ გაზეთებსაც, არბევენ და ხელში იგდებენ სტამბებს, ავსებენ თავიანთ ციხე-საპყრობილოებს ტუსაღებით, რომელთა წინააღმდეგ სასტიკი რეჟიმი აქვთ დაწესებული—დაცინვა—თვითგასამართლების მუქარა.

მთელი ეს ტერორის რეჟიმი თავს ატყდება იმდენათ არა კაპიტალისტების **კლასს**, რამდენათაც დემოკრატიას და სოციალისტურ პარტიებს.

ამ ტერორის პოლიტიკამ სრულიად ჩამოაშორა ბალშევიკების მთავრობას მთელი დემოკრატიული და სოციალისტური ინტელიგენცია, მუშათა კლასის უფრო შეგნებული წრეები და ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებათა მოსამსახურენი. თანამშრომლებისა და თავიანთი ზრახვათა აღმასრულებლების ძიებაში ბალშევიკები განურჩევლად ღებულობენ ყველას, ვინც კი მათ აღუთქვამს სამსახურს. ამიტომ მათ წრეში თანდათან ფეხს იკიდებენ ძველი რეჟიმის მომხრენი, უპრინციპო „კარიერისტები“, ბნელი საქმეთა მოხელენი და „აფერისტები“.

დარჩენ რა უმცირესობაში, მიუხედავათ იმისა, რომ არჩევნების დროს მათ ძალადობა იხმარეს, ბალშევიკებმა ძალადობა იხმარეს დამფუძნებელი კრების წინააღმდეგ და ისწრაფიან მის ჩაფუშვას. ბალშევიკებმა კანონის გარეშე გამოაცხადეს ერთად ერთი ბურჟუაზიული კადეტების პარტია. სოციალისტური პარტიის ბევრი წევრები, რომლებიც არჩეულნი არიან დამფუძნებელი კრების დეპუტატებათ, იძულებულნი არიან დაიმალონ.

საგარეო პოლიტიკის სფეროში მზადდება რუსეთზე გავლენის გაყოფვა, ორივე კოალიციის იმპერიალიზმის მიერ მისი დამონავება.

მთელი ეს ტერორის სისტემა, მოქალაქობრივ თავისუფლებისადმი და სახალხო წარმომადგენლობისადმი ზიზღი სისტემატიურათ უმზადებს ნიადაგს კონტრ-რევოლუციას და მონარქიული წყობილების აღდგენასაც კი.

ყველა ამების მიხედვით საგანგებო ყრილობა რუს. სოც.-დემ. მუშ. პარტიისა, რომელშიაც შეკავშირებულია 150 ათასი მუშა, მიმართავს ყველა ქვეყნის სოციალისტებს თხოვნით დაგვეხმარონ დავიხსნათ საერო საქმე,—რუსეთის რევოლუცია. ჩვენ, რუსეთის სოც.-დემოკრატები, წინადადებას გაძლევთ თქვენ დაუყოვნებლივ მოვიწვიოთ საერთაშორისო სოციალისტური კონფერენცია იმ მიზნით, რომ მოვაწყოთ ორგანიზაციულათ შეკავშირებული პროლეტარიატის ძალდატანება-გავლენა იმპერიალისტურ მთავრობებზე დემოკრატიული ზავის ჩამოსაგდებათ, ნაცვლად ბალშევიკების მიერ გერმანიის იმპერიალისტებთან სეპარატიულ შეთანხმებისა, რაც საშიშროებას უმზადებს არა თუ რუსეთს, არამედ მთელს კულტურულ ქვეყნიერებას.

ამხანაგებო, სოციალიზმის, საერთაშორისო ზავის და ინტერნაციონალის საქმენი საფრთხეშია!..

საგანგებო ყრილობა რ. ს.-დ. მ. პ. (გაერთიანებული).

ახალი ამბები

არეულობა ერევნის გუბერნიაში. როგორც ერევნიდან იტყობინებიან იქაც დაწყებულა არეულობა, კაცის კვლა და ძარცვა-გლეჯა. სადგურ ულუხანლუზე სროლაა. მოსამსახურეები გაიქცენ.

— **ამიერ კავკასიის კომისარიატმა დაადგინა** პირველ იანვრიდან ერთი საათით უკან გადასწიოს საათები.

— **შაქრის მონოპოლია.** ამიერ კავკასიის კომისარიატმა დაადგინა პირველ იანვრიდან 1918 წლისა შემოიღოს შაქრის მონოპოლია.

— **ადგილობრივი ბონები.** გადაწყვეტილია დაუყოვნებლივ გამოსცენ ბონები 3 მ., 5 მ., 10 მ., 50 მ. და 100 მ. ღირებულებისა.

— **სახელმწიფო გადასახადი.** შინაგან საქმეთა კომისარს დაავალეს მოახდინოს განკარგულება, რომ რაც შეიძლება საჩქაროთ შეაგროვონ სახელმწიფო გადასახადი. ვინც დროზე არ გადაიხდის, სურსათს აღარ მისცემენ.

— **მცირე საბჭოს თავმჯდომარე.** ამიერ კავკასიის კომისარიატთან არსებულ მცირე საბჭოს თავმჯდომარეთ აირჩიეს გრ. რცხილაძე.

— **დამფუძნებელ კრების დეპუტატები.** ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დამფუძნებელ კრებაში ამორჩეულათ სცნო და მოწმობები დაურიგა ჯერჯერობით შემდეგ დეპუტატებს. მენშევიკებს—ნ. ჟორდანიას, ირ. წერეთელს, კ. ჩხეიძეს, ე. გეგეჭკორს, ა. ზურაბოვს, ნ. რამიშვილს, ა. ჩხენკელს და მ. სკობელევს. ესერებს:—ვ. ლუნკევიჩს, დაშნაკელებს—ზორიანს, ოვანესოვს, ოგანდჟანოვს, ზურიევს, შახატუნის, ამბარცუმოვს და კაჩაზუნის, ბალშევიკებს—ს. შაუმიანს, მუსავატს—ჯაფაროვს, ალი მარდან ბეგ თოპჩიბაშევს, მამედ ედინ რასულზადეს, ნასიბ-ბეგ უსუფ-ბეგოვს, გუმეტს—ჯაფარ ახუნდოვს და № 12—იბრაგიმ გაიდაროვს და ალისან ვანტემიროვს.

— **სამხედრო სანიტარული საბჭო.** შესდგა სამხედრო სანიტარული საბჭო. პრეზიდიუმში აირჩიეს—თავმჯდომარეთ ექიმი ვირსალაძე, ამხანაგებათ—სტეფანოვი და სლონევსკი; წევრებათ: იგიტიანი, მუხარინსკი და კიკალიშვილი.

— **პროფესიონალურ კავშირების კონფერენცია.** მისალმების სიტყვების შემდეგ კონფერენციამ დაამტკიცა რეგლამენტი. კრებამ უარჰყო მიმდინარე მომენტის შესახებ საკითხის დღიურ წესრიგში შეტანა, რომ ამით განხეთქილება არ ჩამოეგდოთ და ერთ მთლიან მუშაობისთვის ხელი არ შეეშალა. ეს წინადადება შეიტანა ამხ. აზატიანმა და კონფერენციამაც მიიღო.

— **მოქალაქეთა თავდაცვის ორგანიზაცია.** პირველ სამილიციო უბნის ზოგიერთ ქუჩების—მოსკოვის, გუნიბის, ტერ-გუკასოვის, ბელინსკის და სხვების მცხოვრებლებმა ერთ თავის კრებაზე გადასწყვიტეს მოაწყონ თავდაცვის საქმე, რადგან ამ უკანასკნელ ხანებში ამ უბანში გახშირდა მკვლელობა, სროლა და ძარცვა-გლეჯა. კრებამ გადასწყვიტა შეიძინოს იარაღი და შეაიარაღოს ყველა მამაკაცი, რომელსაც იარაღის ტარება შეუძლია. უკვე შეუდგენ ამ ქუჩებზე მცხოვრებ მამაკაცთა აღწერას.

— **საათის გადაყვანება.** ამიერ-კავკასიის კომისარიატს პეტროგრადიდან ატყობინებენ, რომ მახლობელ რკინის გზებზე საათები ერთი საათით უკან დააყენეს და 28 დეკემბერს ღამის 1 საათზე თქვენც გადააყენეთ საათი ერთი საათით უკანაო.

— **სახალხო მილიცია.** ქართულმა ეროვნულმა საბჭომ 26 დეკემბრის კრებაზე მიიღო პროექტი სახალხო მილიციის შედგენის შესახებ.

— **ქურდების დაჭერა.** ხუთშაბათს, ღამის 12 საათზე, ვერის მუშათა წითელმა გვარდიელებმა ვერის დაღმართზე შეაჩერეს ავტომობილი, რომელშიაც აღმოჩნდა ორი ტომარა შაქარი და წაიყვანეს პირველ სამილიციო კომისარიატში. შემდეგ, როგორც გამოირკვა, შოფერს და მის ამხანაგს, (რომლებიც ავტომობილთან ერთად დაიჭირეს) გაუტეხნიათ ქალაქის დუქანი № 16. შოფერი აღმოჩნდ ალექსანდრე იაკობის ძე თვალიაშვილი, ქართული პოლკის ჯარის-კაცი, მეორე კი—დიმიტრი პორფიროვი. გაჩხრეკის დროს აღმოაჩნდათ ორი რევოლვერი „ბრაუნინგის“ სისტემის.

— **აფთიაქის დახურვა.** აღმასრულებელ კომიტეტის განკარგულებით პუშკინის ქუჩაზე დაბეჭდეს ბენიამოვიჩის აფთიაქი და თვით პატრონი დაატუსაღეს. ეჭვი აქვთ, რომ ბენიამოვიჩი ნაქურდალ მედიკამენტებს ყიდულობდა.

— **გლეხთა ყრილობის გადადება.** 28 დეკემბერს გლეხთა ცენტრის კრებამ დაადგინა, რადგან განჯის, ბაქოს და ერევნის გუბერნიებში ამ ჟამათ არეულობაა და შეუძლებელია დელეგატების არჩევა, გადასდოს ამიერ კავკასიის გლეხთა ყრილობა.

— **მომრიგებელი მოსამართლე.** სურამის მომრიგებელ მოსამართლეს ნაცვლათ მელიანიცკისა დაინიშნა სურამის ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენელი კანდიდატი ორჯონიკიძე.

— **თფილისის გუბერნიის შრომის კომისარი** ტრეიმანი აცხადებს, რომ ის ხელ ახლა შეუდგა თავის თანამდებობის ასრულებას და დროებით ღებულობს მთხოვნელთ სასახლეში მუშათა სექციის სადგომში ყოველ დღე 10—3 საათამდე, გარდა კვირა უქმე დღეებისა.

— **ცხენების შეძენა.** კავკასიის გლეხთა ცენტრი აცნობებს სოფლის მუშებს, რომ ცხენების განაწილების საქმე გადადის თფილისის საგუბერნიო აღმასრულებელ კომიტეტის ხელში. სანამ ცხენების ყიდვის პირობები გამოცხადდებოდეს, გაყიდვა შეჩერებულია.

— **„ჯეჯილი“.** რედაქციამ მიიღო „ჯეჯილის“ რედაქციის მიერ გამოცემული პატარა მკითხველებისთვის ორი წიგნაკი **კუნწულა.** რედაქცია აცხადებს, რომ აუტანელი სიძვირისა და ასოთამწყობების უშოვნელობის გამო პირნათლათ ვერ ვასრულებთ მოვალეობას და გარდა ორი წიგნისა იანვრის და თებერვლის ნომრებისა ხელის მომწერლებს ვაწოდებთ მხოლოდ ამ ორ წიგნსო. როგორც რომ დრო ხელს შეგვიწყობს, „ჯეჯილი“ გამოვაო.

— **მივიღეთ** ქართული კედლის კალენდარი შედგენილი გრ. ჩარკვიანისა გამოცემა ამხ. „განათლება“-სი. მეოცდა ათე წელი გამოცემისა, ფასი სამი მანეთი.

კრებები და მიტინგები.

დღეს პირველ საათზე მოხდება საქართველოს ეროვნულ საბჭოს კრება. განიხილავენ მეტათ მნიშვნელოვან საკითხებს; დასწრება კანდიდატებსაც შეუძლიათ.

— კვირას, 31 დეკემბერს დილის 10 საათზე ქალაქის საბჭოს დარბაზში მოხდება ბეჭვდითი საქმის პროფესიონალურ კავშირის წევრთა საზოგადო კრება. განსახილველია შემდეგი საკითხები: ტარიფი, პროფესიონალურ კავშირების კონფერენციის დელეგატთა მოხსენება, მიმდინარე კითხვები და სხვა.

— დღეს საღამოს 7 საათზე სასახლის თეთრ დარბაზში დანიშნულია გლეხთა ყრილობის მომწყობ კომისიის სხდომა.

— დღეს საღამოს 6 საათზე მეორე კომერციულ სასწავლებლის სადგომში, მერვე სამილიციო ნაწილის მცირე კოლექტივი მართავს ლექციას. თემა: ქალთა კითხვა და სოციალიზმი. მიმდინარე კითხვები.

განჯის ამბები

გუშინ, 29 დეკემბერს განჯიდან დაბრუნდა ა. ი. ჩხენკელი. განჯაში მას ახლდა სხვებთან ერთად ამხ. ვლასა მგელაძე, რომელმაც სამწუხარო სურათი გადაგვიშალა თვალწინ მომხდარი ამბებისა. ნაციონალური შუღლის ხასიათი მოძრაობას არ აქვს. არევ-დარევას და სისხლის ღვრის მიზეზათ ჩაითვლებიან ფრონტიდან მომავალი ზოგიერთი ჯარების ნაწილები. ეს ნაწილები არავითარ წეს-რიგს არ ემორჩილებიან, რის გამო რკინის გზის მოძრაობა მეტათ არეულია. მუსულმანები ცდილან რკინის გზის დაცვას და, როცა ლიანდაგის და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საცავათ შეიარაღებული ხალხი გამოუყვანიათ, ზოგიერთ ჯარისკაცებს უთქვამთ: ეს ჩვენი მტრები შეიარაღებულან, ჰკა მაგათ. ასეთი აზრის გავრცელებას დიდათ უწყობენ ხელს ჯარში მყოფი ყოფილი ჟანდარმ-პოლიციელები. ევლახის და ზოგიერთი სადგურების შენობები თითქმის განადგურებულია. ვაგონები, ორთქმავალები დამწვარ-დანგრეულია. რკინის გზის მოსამსახურენი გარბიან. ახალი ეშელონის გავლას რკინის გზაზე ახალი სისხლის ღვრაც თან სდევს. ჯარისკაცები მიდიან როგორც აქედან, ე. ი. თფილისიდან, ისე მოდიან ბაქოდან, მატარებლებში ჯარისკაცის ტანისამოსში გადაცმული ხალხი უფრო მეტი დადის, ვიდრე ნამდვილი ჯარისკაცები. ეს ხალხი სხვადასხვა საქონელს და ნივთებს ატარებს მატარებელში და ვაჭრობენ.

განჯაში ა. ი. ჩხენკელის მეთაურობით რამდენიმე კრება მოხდა. გადაწყდა მილიციის მოწყობა და საერთოდ გამომუშავებულ იქნა წეს-რიგი, თუ როგორ უნდა იქნას დაცული მშვიდობიანობა. თათრებს თითონ შეედგინათ მილიცია, რომ ყაჩაღებისთვის ხელი შეეშალათ რკინის გზაზე მისვლის. თვით რკინის გზას დაიცავს მუშებისაგან შემდგარი მილიცია.

ძარცვა-გლეჯა-თავდასხმა იწყება სად. სალოღლიდან. სადგურები ევლახამდე დაცარიელებულია თითქმის. თვით სად. ევლახი იწვის. იწვის ნავთის აუზები. ევლახში ქვა-ქვაზე არ არის დარჩენილი, როგორც იტყვიან. სადგურებთან ახლომახლო მდებარე სოფლები განადგურებულია.

ა. ი. ჩხენკელის მატარებელს, როცა თფილისში ბრუნდებოდა, თავს დაესხნენ ღამით სად. სალოღლთან ავაზაკები და სროლა აუტეხეს.

დიდი სიფხიზლე გამოუჩენია ამ სისხლის ღვრის დროს განჯის რკინის გზის სადგურის მოწინავე ამხანაგებს.

პროვინციის ქრონიკა

ლიხაური (გურია). 14 დეკემბერს შესდგა ლიხაურის საზოგადოების გურიის მუშათა „ასოციაციის“ წევრთა საზოგადო კრება. გაირჩა, სხვათა შორის, კავკასიის დროებითი მთავრობის მიწის დეკრეტის ცხოვრებაში გატარება. კრებამ დაადგინა: გატარებულ იქნას ცხოვრებაში დეკრეტის ყველა მუხლები თვით მუშების მიერ.

სოფ. გომი (მუხაყრუს საზოგადოება). დღეს ჩვენი სოფლის ხალხი ცოდნის დიდ წყურვილს იჩენს და ყოველ კულტურულ საქმეს დიდი ხალისით ეპყრობა. გასულ წელს აქ გაიხსნა კოოპერატიული დუქანი; ვაჭრობა კარგ ნიადაგზე დგას. გახსნეს კიდევ ორკლასიანი სასწავლებელი. რევოლიუციის პირველ ხანებში დ. ნადირიძის ინიციატივით გახსნეს წიგნთ-საცავ სამკითხველო, არის აგრეთვე ფოსტაც. დაარსდა ს.-დ. ორგანიზაცია, წევრთა რიცხვი დღითი დღე მატულობს. გვყავს ძალები, რომ გაურკვიოს ხალხს დღევანდელი პოლიტიკური საკითხები.

ქ. ლანჩხუთი. კარგა ხანია, რაც აქ დაარსდა ახალგაზრდათა ს.-დ. ორგანიზაცია, მაგრამ, სამწუხაროთ, აქ დღესაც ვერ არის საქმე კარგათ დაყენებული. ორგანიზაცია ორ კატეგორიათ არის დაყოფილი ცოდნის მიხედვით. დაბალ კატეგორიაში მეცადინეობა უკვე დაწყებულია და საქმე კარგადაც მიდის. მაღალ კატეგორიისათვის ბიურომ ორჯერ სთხოვა კოლექტივს ხელმძღვანელი, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო ასეთი დღემდის ვერ დაუნიშნავთ. მიუხედავათ ყოველივე ამისა, ორგანიზაციაში კითხულობენ ხშირათ რეფერატებს, იმართება კამათი მოწინააღმდეგებთან, ამხანაგები ერკვევიან სხვადასხვა პროგრამულ კითხვებში.

ამაღლება (გურია). 6 დეკემბერს შესდგა ამ საზოგადოების შეერთებული კრება. დღის წესრიგი იყო: მომენტის გათვალისწინება, გლეხთა საბჭოს მოწყობა ადგილობრივათ და სასურსათო კომიტეტის შესახებ მოხსენება. პირველ კითხვის შესახებ გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც დაგმობილია ბალშევიკების მოქმედება და ნდობას უცხადებენ ამიერ კავკასიის კომისარიატს. განმარტებულ იქნა გლეხთა საბჭოების მნიშვნელობა. არჩეულ იქნენ: ს. წეროძე, ა. წეროძე, დათა ჟღენტი, თ. დოლიძე, ს. დოლიძე, ს. დოლიძე, ს. სიხარულიძე, თ. დოლიძე, იორ. სიხარულიძე, პ. ზაზახიძე და ლ. დოლიძე. სასურსათო კომიტეტის მომავალ მოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. მ. ელიაძემ.

ს. დიდი-ჯიხაიში. 10 დეკემბერს აქ მოხდა სასკოლო კომიტეტის კრება. სხვათა შორის კამათი გამოიწვია პირველდაწყებითი უმაღ. სკოლის მოწაფეთა წამოყენებულ მოთხოვნებმა. კრების უმრავლესობამ მოთხოვნა ვერ იცნო სამართლიანათ, ამბობდენ სწავლის გასაუმჯობესებლად ბრძოლა სასიხარულოა, მაგრამ სატირალია, თუ ის სიყალბეზე არის აშენებული. შემდეგ კრებამ ერთხმათ გადასწყვიტა აირჩიონ კომისია და მიანდონ გამოიკვლიონ ყოველივე და მომავალ კრებას მოახსენონ.

— სასურსათო საკითხი თანდათანობით მწვავდება. სიმინდზე ნიხრი ცხოვრებაში არ ტარდება. ფასი ფუთი სიმინდის 12—14 მ. აღის. პოზიციიდან დაბრუნებული ჯარისკაცები უკმაყოფილებას აცხადებენ.

— შანტაჟისტებმა აქაც იჩინეს თავი.

ს. საქარა (იმერეთი). საქარის საზოგადოების კომისარის ვალიკო ფერაძის ინიციატორობით 13 დეკემბერს გაიმართა საქარის სამართველოსთან მრავალრიცხვოვანი კრება. კრების საგანს შეადგენდა პეტროგრადში დამფუძნებელ კრების დეპუტატებზე ძალადობა და პროვოკატორ-ხულიგანების განთავისუფლება.

ხალხი დიდის აღშფოთებით შეხვდა ამ ამბავს და დაადგინა: სასტიკი პროტესტი და ზიზღი გამოეცხადოს ასეთ უპასუხისმგებლო მთავრობას. ამასთანავე თავისი წმინდა მოვალეობათ დაისახეს შეაიარაღონ დემოკრატიის შვილები დამფუძნებელ კრების დასაცავათ. უფრო დიდი აღშფოთება გამოიწვია, მეორე კითხვამ, რომელიც შეეხებოდა პროვოკატორ - ჯალათების განთავისუფლებას. ხალხი ღელავდა ლავრენტი მახარაძის სახელის გაგონებაზე. დიდი შრომა დასჭირდა ამხანაგ თავმჯდომარეს, რომ ხალხი დაეწყნარებია. ხალხი ყვიროდა: „კიდევ ცოცხალია? ჩვენ მოგვეცით, ჩვენ გავასამართლებთ ჩვენს მწვალებელს დ მტანჯველსო“. ერთ-ხმათ დაადგინეს: მახარაძე, რომელმაც არ დაინდო არც მოხუცი და არც ყმაწვილი, არც ქალი და არც კაცი და ვინ იცის რამდენი უდანაშაულო სიცოცხლე იმსხვერპლა, უნდა იჯდეს ციხეში დამფუძნებელ კრების გახსნამდე და შემდეგ ეთხოვოს იმავე დამფ. კრებას, რომ ის თვით ხალხმა გაასამართლოსო. აგრეთვე მიღებულ იქნეს ახლავე ზომები მონახულ იქნეს და დატყვევებული ყვირილის ყოფილი ბოქაული ამბარცუმ აკოფოვი და მასთან ამ მოკლე დროში განთავისუფლებულნი პროვოკატორ-ჯალათები, როგორიც არიან ვანო ბიწაძე, ქარქაშაძე და სხვანი, რადგანი,—ამბობს ხალხი, მათი გარეთ ყოფნა საშიშია რევოლიუციისათვისო“.

ამიერ კავ. მუშ. დეპ. საბჭ. საგანგებო ყრილობა

რეზოლიუციები:

უმუშევრობის და შრომის ბაზრის მოწესრიგების შესახებ:

იღებს რა მხედველობაში, რომ უმუშევრობა პირდაპირი შედეგი და ანარქიულათ მოწყობილ კაპიტალისტურ წარმოების საშუალების მუდმივი თანამგზავრია, რომ ეხლა ეკონომიურ არევ-დარევის, რუსეთის ტეხნიკურათ ჩამორჩენის და ჯარის მწყობრი დემობილიზაციისთვის მოუმზადებლობის გამო ის ჩვენში ფართე და საშიშ ხასიათს ღებულობს, ყრილობა საჭიროთ სცნობს შრომის ბაზრის მოსაწესრიგებლათ და უმუშავრობასთან საბრძოლველათ მიღებულ იქნას შემდეგი ზომები:

1) ყოველი ღონის ძიება იხმარონ ხელი შეუწყონ ძველი წარმოების გახსნას და ახლის მოწყობას და ეცადონ მთელ მრეწველობაზე დაწესებულ იქნას სახელმწიფო კანტროლი.

2) ვაჭრობა-მრეწველობის და სოფლის მეურნეობის ყოველ დარგში, სადაც ხმარებაშია დაქირავებული შრომა, რვა საათის სამუშაო დღის თანდათანობითი ცხოვრებაში გატარება.

3) ბავშვთა შრომის სასტიკად აკრძალვა და ქალთა შრომის მოწესრიგება, იმ ფარგლებში, რომელიც ნაჩვენებია კლასობრივ თვალთახედვის ნიადაგზე მდგომ სოციალისტურ პარტიების პროგრამაში და მუშათა პროფესიონალურ კავშირების წესდებებში.

4) ქალაქების, ერობების და მთავრობის ორგანოების მიერ საზოგადო სამუშაოს ორგანიზაცია, ამასთან საჭიროა გამოიცეს სპეციალური კანონი, რომელიც ხელს შეუწყობს აღნიშნულ დაწესებულებებს ექნეთ იაფი და ფრიად ფართე კრედიტი. ამ მიზნის განსახორციელებლათ საჭიროა: ქალაქის ხარჯზე სახლების აშენება იაფ-ფასიან ბინებით, წყლის გაყვანა და კანალიზაცია, ქუჩების გაფართოება და მოკირწყვლა, აგრეთვე მრავალი სხვადასხვა სანიტარულ-ჰიგიენურ ზომების მიღება იმ ქალაქებში ან მის ნაწილებში, რომლებიც სრულიად მოუწყობელია; ქალაქ-ბაღების გაშენება და ყოველივე მიწის სამუშაო მოწყობა ქალაქში და სოფლათ.

ამასთან ყრილობა დაბეჯითებით მოითხოვს, რომ საზოგადო სამუშაოს საზოგადოებრივ საჭიროების ხასიათი ჰქონდეს და არა ქველმოქმედებითი.

5) უმუშევართა რიცხვის სისწორით გამოსაანგარიშებლათ და მათ სისწორით დასანაწილებლათ მთელ ქვეყანაში და კერძო წარმოებებში, ყრილობა წინადადებას აძლევს მუშათა ორგანიზაციებს დაბეჯითებით მოითხოვონ, რომ ყველა ქალაქებში ორივე მხრისათვის გახსნილ იქნას უფასო პარიტეტული შრომის ბირჟები და კერძო შრომის ბირჟები დაიხუროს.

მუშების და გლეხების შეიარაღების შესახებ.

I

პრინციპიალურათ მხარს უჭერს რა რევოლიუციის დღევანდელ კონკრეტულ პირობებში საყოველთაო შეიარაღებას კავკასიის მუშათა დეპუტატების საბჭოთა მესამე ყრილობა ყოველის მხრით ხელს შეუწყობს კავკასიის მოწინავე მუშათა და გლეხთა შეიარაღებას და წინადადებას აძლევს კავკასიის ყველა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს, „წითელ გვარდიის“ შექმნით პრაქტიკულათ გაატარონ ცხოვრებაში ხალხის შეიარაღების საქმე და ამავე დროს იხელმძღვანელონ თანდათანობითი ლემოკრატიზმის და ინტერნაციონალიზმის პრინციპით. ყრილობა ადგენს, რომ „წითელი გვარდია“ უნდა იყოს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის განკარგულებაში და სრულიად მას უნდა ემორჩილებოდეს.

II

იღებს რა მხედველობაში, რომ კავკასიის დემოკრატიამ ადგილობრივ ძალებით უნდა აწარმოოს რევოლიუციის და ქვეყნის შინაურ და გარეულ საფრთხიდან დაცვის საქმე, კავკასიის მუშათა დეპუტატების საბჭოთა ყრილობა მიმართავს წამსვლელ ჯარებს და მოუწოდებს დასტოვონ ის იარაღები, რომლებიც მათ ხელში აქვთ სახელმწიფოებრივ დაცვის საჭიროებისა და მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების მიერ რევოლიუციის მოპოვებულ უფლებების დასაცავათ.

დამფუძნებელ კრების გარეკის და მისი წევრების დატუსაღების შესახებ,

ყრილობა სასტიკ პროტესტს აცხადებს სახალხო კომისარების მიერ დამფუძნებელ კრების გარეკის და მის ზოგიერთ წევრებზე ძალადობის ხმარების კერძოთ სოც.-რევოლიუციონერთა პარტიის ბელადის ავქსენტიევის დატუსაღების წინააღმდეგ და მოუწოდებს მთელ რევოლიუციონურ დემოკრატიას ყოველი ღონე იხმაროს და დაიცვს მთელი რუსეთის სრული ბატონ-პატრონი (დამფუძნებელი კრება) ყოველივე თავდასხმისაგან სულ ერთია,—საიდანაც უნდა იყოს ის.

ზოგიერთ დელეგატების წასვლის შესახებ.

მოისმინა რა განცხადება დელეგატთა ჯგუფის, რომ იგინი სტოვებენ ყრილობას, რადგან მათ არ მიანიჭეს რამდენიმე გადამწყვეტი ხმა და მიიღეს რა მხედველობაში რომ:

1) ამ ყრილობის მოწვევა გადაწყვეტილი იყო ამიერ კავკასიის ცენტრის მიერ ბაქოს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ულტიმატურ მოთხოვნის გამო, რომ წარმომადგენლობითი ნორმის შემუშავებაში და ყრილობის მომწვევ საორგანიზაციო კომისიაში მონაწილეობას ღებულობდენ ყველა ფრაქციები და მათ რიცხვში ბალშევიკებიც, რომლებსაც კრინტიც არ დაუძრავთ ნორმის შესახებ არც თფილისიდან და არც სხვა ადგილებიდან, ყრილობა აცხადებს, რომ იმ დელეგატებმა, რომლებმაც ყრილობა დასტოვეს, 2) დაარღვიეს თავიანთი საბჭოების მანდატები, მათ მოქმედებას სცნობს თვითნებითათ, რომელიც ეწინააღმდეგება მათ „ნაკაზს“.

3) დელეგატების მოთხოვნა მიეცათ თვითეულ მათგანისთვის რამდენიმე ხმა არის ნამდვილი არა დემოკრატიული მოვლენა, რომელიც არც ერთ დემოკრატიულ ყრიბაზე არ მომხდარა.

ყრილობა სცნობს, რომ ეს ნაბიჯი მიმართულია კავკასიის დემოკრატიის განხეთქილებისა და პროლეტარიატის ერთი ნაწილის მეორეს წინააღმდეგ ამხედრებისკენ. ყრილობა ენერგიულ პროტესტს აცხადებს ასეთ რასკოლნიკურ პოლიტიკის წინააღმდეგ და მოუწოდებს კავკასიის მუშათა კლასს შემოკრბეს ამიერ კავკასიის მუშათა დეპუტატების საბჭოს ცენტრის გარშემო და მისი ხელმძღვანელობით ენერგიული ბრძოლა დაიწყოს ერთ მთლიან რევოლიუციონურ ფრონტის დეზორგანიზატორების წინააღმდეგ.

მიმდინარე მომენტი.

ყრილობამ მოისმინა რა მოხსენება მიმდინარე მომენტის შესახებ დაადგინა:

რუსეთის დიდებული რევოლიუცია თავის ძირითად მიზნათ ისახავს რუსეთში დემოკრატიულ რესპუბლიკის დამყარებას ხალხის ფართო მართვა-გამგეობის ნიადაგზე, ამავე დროს უზრუნველჰყოფს ხალხს მისცეს ზავი, გადასცეს ყველა მიწები უსასყიდლოთ, მისცეს ფართო საოლქო რეფორმა, განახორციელოს რუსეთში მცხოვრებ ყველა ეროვნებათა თვითგამორკვევის დიდებული დემოკრატიული ლოზუნგი და დემოკრატიულ ორგანოების საშუალებით დააწესოს ვაჭრობა, - მრეწველობაზე და ფულზე სახელმწიფო კანტროლი და განაწილოს, თითქმის ნაციონალიზაციაც მოახდინოს მრეწველობის ისეთ დარგებში, რომლებსაც სახელმწიფოებრივი ხასიათი აქვს.

ამ დიად მიზნის მიხწევა შესაძლებელია მხოლოდ ყველა სოციალისტურ და დემოკრატიულ ელემენტების გაერთიანების გზით, რომლებიც დემოკრატიულ რევოლიუციის და მისი მიზნების განხორციელების ნიადაგზე დგანან.

ოქტომბრის გადატრიალებამ, რომლითაც ძალა-უფლება ბალშევიკთა ფრაქციამ ჩაიგდო ხელში, ორ მოპირდაპირე ბანაკათ გაჰყო დემოკრატია და ძმათა ომი გამოიწვია. ბალშევიკთა ფრაქცია მთავრობას სათავეში მოექცა, თავზე მოახვია რევოლიუციას სოციალისტურ გარდაქმნის ხასიათის მიზნები და მოინდომა მცხოვრებთა დიდი უმრავლესობის სურვილის წინააღმდეგ მისი ხიშტებით ცხოვრებაში გატარება, ამით მთელ რუსეთში ანარქია გააჩაღა და რუსეთის დაქუცმაცება გამოიწვია. ასეთ ზომებით მან გამოიწვია ფრონტის გატიტვლება, ჯარების წამოსვლა და ამით მთელი რუსეთის ხალხი გერმანიის იმპერატორის და ოსმალეთის სულთანის მოწყალების ქვეშ დააყენა.

ერთათ ერთი ხსნა ასეთ მეტათ კრიტიკულ მდგომარეობის დროს ანარქიის მოსასპობათ და საგარეო საფრთხის თავიდან ასაცილებლათ, არის მხოლოდ დამფუძნებელი კრება, რომლის გარშემო უნდა შემოკრბეს მთელი რუსეთის დემოკრატია. მხოლოდ რუსეთის ამ ერთათ ერთ სრულ პატრონს შეუძლია შექმნას ერთი მთლიანი რესპუბლიკანური რუსეთი, გაატაროს ცხოვრებაში დემოკრატიულ რევოლიუციის ყველა მიზნები და ღირსეულ ზავის ჩამოგდებით გადაარჩინოს ქვეყანა გარედან დამონავებას.

ამიტომ ყრილობა მოუწოდებს ყველა მშრომელთ ერთ მთლიან რევოლიუციონურ ფრონტის აღსადგენათ და დამფუძნებელ კრების გარშემო გასაერთიანებლათ და თვით დამფუძნებელ კრებაში კი მუშათა, ჯარის-კაცთა და გლეხთა დეპუტატების ძლიერ საბჭოებზე დაყრდნობილმა მხარი დაუჭიროს სოციალისტურ და დემოკრატიულ ელემენტებს.

ამიერ კავკასიის კომისარიატმა, რომელიც შექმნა ამიერ კავკასიის რევოლიუციონურმა დემოკრატიამ, მისი არსებობის მოკლე ხნის განმავლობაში მოგვცა ზავი ოსმალეთთან, გამოსცა დეკრეტი 8 საათის სამუშაო დღის, და ყველა მიწების, გარდა წვრილ მიწათ საკუთრებისა, მიწების კომიტეტებზე გადაცემის შესახებ, მთელი ქვეყნის დემოკრატიის ნდობა დაიმსახურა და ამიტომ ყრილობა ამ რევოლიუციონურ რეფორმატორულ მოღვაწეობაში მას მხარს უჭერს.

შორს ანარქია და კონტრ-რევოლიუცია!

გაუმარჯოს დემოკრატიის მთლიანობას და დემოკრატიულ რევოლიუციას!

რუსეთის ამბები

პრესის თავისუფლება. 16 დეკემბერს ბეჭვდითი საქმის კომისარი წითელ-გვარდიელების თანხლებით მივიდა იმ სტამბაში, სადაც იბეჭდება ესერების გაზეთი „ტრუდი“. სტამბის შენობაში ყველაფერი გულ-მოდგინეთ გაჩხრიკეს და ქაღალდიც წარადგინეს კომისარ როგოვის მიერ ხელ-მოწერილი. მოითხოვდენ საგაზეთო მასალას წინასწარ გადასასინჯათ წარდგენას, მაგრამ პასუხათ მიიღეს—არც მასალას წარმოგიდგენთ და გაზეთსაც გამოვსცემთო. მეორე დღეს გაზეთი სალამოთი გამოვიდა. წითელ-გვარდიელები დადიოდენ ქუჩებში და გაზეთის გამყიდავებს გაზეთს ართმევდენ. სალამოსვე სტამბაში ხელ-მეორეთ მოხდა ჩხრეკა. რედაქტორს განუცხადეს, რომ გაზეთის გამოცემის ნებას აღარ დაგრთავენ.

ბეჭვდითი საქმის მუშათა საერთო კრებაზე მოსკოვში გამოირკვა, რომ ამ დარგის მუშებისათვის ყველაზე თავ-სატეხ კითხვათ ამ უკანასკნელ ხანებში გახდა გაზეთების დახურვა და ზოგიერთი სტამბების შეიარაღებული ძალით ხელში ჩაგდება ბალშევიკების მიერ. სტამბების ძალით ხელში ჩაგდება წარმოების საქმეს აფერხებს—არევ-დარევა შეაქვთ მასში, რაც უმუშევართა რიცხვს შესამჩნევათ ზრდისო. კრებამ რეზოლიუცია მიიღო, სადაც ნათქვამია: უმუშევრობის გაზრდას ხელს უწყობს სახალხო კომისართა მიერ პრესის წინააღმდეგ მიღებული ზომები განურჩევლად მიმართულებისა. კრება მოითხოვს პრესის სრულ თავისუფლების აღიარებას.

საავათმყოფო კასების წარმომადგენელთა ყრილობა მოსკოვის ოლქისა შესდგა დეკემბრის პირველ რიცხვებში. დაესწრო 43 კასის წარმომადგენელი, რომელიც აკავშირებს 102,106 დაზღვეულ მუშებს. ყრილობამ ერთხმად დაადგინა დაარსდეს საერთო საქალაქო კასა და ადგილობრივათაც კასების გაერთიანება მოხდესო. მოსკოვის ოლქში სულ 144 კასა ყოფილა, რომელშიაც შეკავშირებულია 190,400 მუშა.

შიმშილობის წინააღმდეგ. 15 დეკემბერს პეტროგრადში ზარბაზნების ქარხანაში მოხდა მუშების საერთო კრება. დაესწრო 3000 კაცი. პირველათ გაარჩიეს დამატებით ხელ-ფასის მიცემის საკითხი. უნდა მიეცეს 15 მაისიდან 15 სექტემბრამდე საათში ზედ-მეტი 3 მან. თითოეულ მუშას. საარტილერიო საწყობის მუშებისათვის საჭიროა 4 მილიონ მანეთი. მთელი ქარხნის მუშებისათვის კი-100 მილიონ მანეთზე მეტი. მუშები დაჟინებით მოითხოვენ დაკმაყოფილებას, ვინაიდან სხვა ქარხნებში ზედმეტი ფულები მუშებმა უკვე მიიღესო. ბალშევიკების განმარტება, რომ სალარი არ გვაქვსო, საქმეს არ შველის. მუშებიდან ასეთი ხმები მოისმის: „ინტერნაციონალისთვის ფულები მოგეპოვებათ, ჩვენთვის არა?“. „საზღვარ-გარეთ აპირებთ გაქცევას და ამიტომ წინდაწინ იკეთებთ საქმეს იქაურ მუშებთან? როცა ჩვენ კერენსკი გვეუბნებოდა ფულები არ არისო, თქვენ მას არ უჯეროდით! თქვენი მეფობის დღენი დათვლილია. კაპიტალისტებიკი, შემდეგ გვეტყვიან: თქვენმა მუშათა მთავრობამ უარი გითხრათ, სჩანს, თქვენი მოთხოვნა უკანონოაო“. დაადგინეს მოითხოვონ ზედ-მეტი და თუ არ მისცემენ, გაგზავნონ სმოლნში დელეგაცია ყოველი სახელოსნოდან 15 კაცი. სასურსათო საკითხის შესახებ 11 წინააღმდეგ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: კრება წინადადებას აძლევს მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტადების საბჭოს შესწყვიტოს პირველ საქალაქო რაიონის სასურსათო საქმეში ჩარევა და მთელი სასურსათო საქმე მიენდოს საქალაქო სასურსათო ორგანიზაციებს,

ბალშევიკებსა და უკრაინელებს შორის შეტაკება მოხდა კიევის გუბერნიის სტარო-კონსტანტინოვკაში. ბალშევიკები დამარცხდენ. ბალშევიკებს აქ დიდი ზარალი მოუვიდათ. ქალაქი უკრაინელებმა დაიკავეს. ხელთ იგდეს დიდძალი სამხედრო ნადავლი. 13 დეკემბერს საღამოს 6 საათზე დიდი ბრძოლის შემდეგ უკრაინელებმა დაიკავეს ქ. ლუცკი; ბრაილოვში უკრაინელმა ჯარებმა იარაღი აჰყარეს კიევისაკენ მიმავალი ბალშევიკურ ჯარებს. სამხრეთ - დასავლეთის რკ. გზის სად. ჟმერინკა — კრაპილოვკაზე დიდ-ძალი ჯარებია თავ-მოყრილი როგორც ბალშევიკების, აგრეთვე უკრაინელების ნაწილებისა. მათ შორის მოლაპარაკებაა გამართული. ეკატერინოსლავის და თავრიდის გუბერნიებიდან ბალშევიკური ჯარები დასძრეს კიევისკენ. სად. ლოზოვაიაზე სამი ბალშევიკური ნაწილი სდგას. რადამ ზომები მიიღო ამ ჯარების წინააღმდეგ. 14 დეკემბერს სად. ალექსანდროვსკში დიდი სისხლის ღვრის შემდეგ უკრაინელებმა იარაღი აჰყარეს ბალშევიკურ ჯარებს. სად. ვოროჟბა ბრძოლის შემდეგ უკრაინელებმა დაიკავეს. ხარკოვში ძალა-უფლება ბალშევიკურ სამხედრო-სარევოლიუციო კომიტეტის ხელშია. ბალშევიკებმა დაიკავეს სამხრეთის რკინის გზათა სამმართველო.

გერმანიასთან სავაჭრო დამოკიდებულების განახლების მოლოდინში პეტროგრადში ბევრგვარ საქონელზე დაიწია ფასებმა. ბევრ მაღაზიებში გამოფინეს დიდძალი საფართლო, საგალანტერიო და სხ. საქონელი. ფასები წინანდელთან შედარებით ნაკლებია. ზოგიერთი ვაჭრები ცდილობენ რაც შეიძლება დაჩქარებით გაიცალონ ხელიდან საქონელი. მარტო გერმანიის კონკურენციის შიშს არ ასახელებენ ამის მიზეზათ, არამედ ეშინიათ ჩამორთმევის და დარბევის.

უცხოეთი

პრუსიის ლანდტაგში მთავრობამ კანონ-პროექტი შეიტანა საარჩევნო უფლების რეფორმის შესახებ. მთავრობას ამ საკითხში წინააღმდეგობას უწევენ კონსერვატორები. ერთმა კონსერვატორმა პირდაპირ განაცხადა, რომ ჩვენთვის სასიამოვნო მოვლენას არ შეუდგენს პრუსიის მინისტრ-პრეზიდენტათ ბავარელი გრაფი გერტლინგი არისო. ცენტრის და ნაციონალ-ლიბერალების ორატორებმაც კი გაილაშქრეს რეფორმის წინააღმდეგ. ისინი წინააღმდეგ წავიდენ თანასწორი საარჩევნო უფლებისა და საარჩევნო ოლქების ხელ-ახალი გადამიჯვნისა. ფიქრობენ კომისიაში განხილვის დროს შეთანხმება მოხდებაო.

ინგლისის საგარეო ვაჭრობისთვის გერმანიის საზღვაო ომს, როგორც ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო იუწყება, ზარალი ვერ მიუყენებია. 1917 წელს 15 მილიონი გირ. სტერ. ღირებულების საქონელი მეტი გაუტანიათ ინგლისიდან 1916 წ. შედარებით.

ა. სტატგაგენი. 4 დეკემბერს ბერლინში გარდაიცვალა დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატიის ერთი გამოჩენილი მოღვაწეთაგანი, ყოფილი რედაქტორი „ფორვერტსისა“—ა. სტატგაგენი. ის 60 წლისა იყო. მე-90 წლებში მას, როგორც ვექილს, პრაქტიკა აუკრძალეს პრუსიის სასამართლოს წინააღმდეგ წარმოთქმული სიტყვის გამო. ამის შემდეგ ის პარლამენტარულ მოღვაწეობას ეწეოდა განუწყვეტლივ. მან ცნობილი წიგნი დასწერა მუშათა უფლების შესახებ. ეკუთვნოდა ის პარტიის რადიკალურ ფრთას. დაიწყო ომი თუ არა, ის ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც მიხვდა, თუ რა შეცდომა მოუვიდა პარტიას ომის საკითხში. ის სასტიკათ ებრძოდა ნემეც სოციალ-პატრიოტებს ომის საკითხში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოლანდიის ს.-დ. მუშათა პარტიის გაზეთი ეხება ბალშევიკების მიერ ძალა-უფლების ხელში ჩაგდებას და შემდეგს სწერს: ჩაიგდეს რა ხელში ქვეყანას ბალშევიკები, იწყებენ ისეთი დიდი საქმის გაკეთებას, რაც სხვა სოციალისტურ პარტიებს რუსეთში შეუძლებლათ მიაჩნიათ. ჩვენ მეტის-მეტათ მოხარულნი ვიქნებით, თუ ჩვენ ამ შემთხვევაში ვცდებით. რაც შეეხება საზავო პოლიტიკას, ამის შესახებ ფიქრიც კი არ შეიძლება, თითქოს რუსეთის სოციალისტური პარტიების ერთ ფრაქციას (ბალშევიკებს) შეეძლოთ ზავის ჩამოგდება. ასეთი ზავი გაამაგრებდა დემოკრატიის მოწინააღმდეგეთა პოზიციას ევროპაში. თუ დღემდე ასეთი ელემენტების გაძლიერების **შედეგი** იყო ლენინის ტაქტიკა, არ შეიძლება არ ვიფიქროთ, რომ ამ ელემენტებისთვის ეს **მიზანი** არ ყოფილიყოს. სიტყვების დრო ბალშევიკებისთვის წასულია, ახლა მათ დაუდგა საქმის დრო. ბალშევიკებმა ბურჟუაზიულ ელემენტებთან თანამშრომლობის საკითხი რადიკალურათ გადასჭრეს, მაგრამ ეს ტაქტიკის საკითხია და არა პრინციპის. აქ ლენინმა უნდა დაამტკიცოს, რომ მიზანი მათ მიერ დასახული საშუალებით უფრო ადრე განხორციელდება, ვიდრე დღევანდლამდე ნახმარი საშუალებებით, რომლის განხორციელებას რამდენიმეთ ხელს უშლიდა ლენინი და მისი პარტია.

არა სადღეისო, მაგრამ სადღეისო

რა სამწუხაროა: თავისუფლების ხანაში ჩვენ ამის შესახებ ვსწერთ.

რა სავალალოა: დღესასწაულის დღეს ჩვენ ამაზე ვლაპარაკობთ.

ვსწერთ და ვლაპარაკობთ არა უმიზეზოთ, არა, იძულებით გვიხდება წერა ავაზაკებზე.

ვიცით: ყაჩაღები იყვენ უწინაც, ვიცით არსენა ყაჩაღი, კაკო ყაჩაღი და სხვა მრავალი ყაჩაღი. ისინი უწინ ხალხს უყვარდა. იმიტომ, რომ ისინი არსებულ ბატონ-ყმურ წესწყობილებას ებრძოდენ. ხალხს ეხმარებოდენ, ხალხს უვლიდენ. ბავშვმაც კი იცოდა მათი სახელი და ნეტარებით იხსენიებდენ მათ: კაკო ყაჩაღებს, არსენებს, სიმონებს და სხვებს. გვახსოვს ილია ჭავჭავაძის ებიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან, რას იუბნება ზაქრო კაკოს: შენი ამბავი ეხლა მართალი ზღაპრათ მიუვა ჩვენს შვილიშვილებს.

ასე იყო უწინ. დროთა მსვლელობით ეს ყაჩაღები გაქრენ, როგორც გაქრა ბატონ-ყმობაც. გაქრენ ის ვაჟკაცები, რომლებიც ერთეულათ ბრძოლას აწარმოებდენ. პარტიზანული ბრძოლის დრო წავიდა. დაიწყო მასიური ბრძოლის დრო. მესამოცე წლებიდან ქართველი ხალხი ორგანიზაციულ ბრძოლას სწავლობდა და ეჩვეოდა. მეოთხმოცე და მეოთხმოცდაათე წლებიდან ქართველი ხალხი ამ ბრძოლაში აქტიურათ ჩაერია და პარტიული დროშის ქვეშ დარაზმული, სოციალდემოკრატიული ლოზუნგები ზედ რომ იყო ამოჭრილი, შეეჩვია შეკავშირებულ, ორგანიზაციულ ბრძოლას. ქართველმა ხალხმა უარყო პარტიზანული გამოსვლა და მასიურ ბრძოლის ფერხულში ჩაება. ხალხის შეგნება ამ მხრივ ძლიერ შორს წავიდა. ხალხმა ალღო აუღო ბრძოლის მეთოდს და ისიც გამოწვრთნილ მეთაურებს გაყვა. 1905 წელი ამ ბრძოლის აპოგეა იყო. ქართველმა ხალხმა თავისი მკვეთრი ორგანიზაციული ბრძოლის ნიჭი გამოიჩინა. დიადი იყო ეს ბრძოლა. მშვენიერებით შემოსილია 1905 წელი, მაგრამ მეფის მთავრობასთან სასტიკ შეტაკებაში დამარცხდა ეს ბრძოლა. მრავალი მებრძოლი სახრჩობელამ იმსხვერპლა, მრავალი ციხეში გამოიხუთა. მრავალმა ცივ ციმბირში დალია სული, მრავალი განრისხული მეფის მთავრობიდან, მოწყვეტილი კანონიერ საზოგადოებას, ტყეს შეეფარა, მთებში გაიჭრა. ობლათ შთენილნი ისინი იძულებული გახდენ ხელი ძარცვა-გლეჯისათვის მიეყოთ. ცხრაას ხუთი წლის ეს მებრძოლნი გატყდენ, სულით დაეცენ, გაიხრწნენ.

ქართველი ხალხი, რომელმაც სამუდამოთ უარყო პარტიზანული, ყაჩაღური ბრძოლა არსებულ პირობების წინააღმდეგ, უარყო მეთოდი პიროვნული გამოსვლებისა, რომელსაც ხალხის აწიოკება მოსდევდა ხოლმე, ვერ შეურიგდა გადავარდნილთ. ვერ შეურიგდა განსაკუთრებით მათ, ვინც ძარცვა-გლეჯას ანდომებდა დროს, ვინ ავაზაკობდა. ეს სიტყვა ამ უკანასკნელ ხანაში თანდათან შემოდის ხმარებაში. მართალია ხმარობენ ეხლაც სიტყვა: „ყაჩაღს“, მაგრამ მას თავისი ძველი შინაარსი დაეკარგა. ყაჩაღი დღეს იგივე ავაზაკია: მძარცველი, მგლეჯელი, ხალხის ამწიოკებელი, ქვრივ-ობლების გამანადგურებელნი, ყველის გამომჭრელნი, დამახრჩობელნი და სხვა და სხვები. რომელთა მრავალგვარ მოქმედებას სახელი არ ყოფნის.

ქართველი ხალხი ვერ შეურიგდება ავაზაკებს, სწორეთ ავაზაკებს, მათ, რომელნიც ხალხის წინააღმდეგ მიდიოდა, ხალხს აოხრებდა და აწუხებდა. აქ ქართველმა ხალხმა თავისი გამოცდილი ორგანიზაციული ნიჭი გამოიჩინა და ავაზა-

კების წინააღმდეგ შეკავ. ბრძოლა დაიწყო; ბრძოლა დაიწყო მათ წინააღმდეგ, ვისაც ძველი მთავრობა ძალათ აჩენდა, ძალით მიერეკებოდა. გურია პირველ რიგში იდგა ამ ბრძოლის დროს. და მიუხედავათ იმისა, რომ ამ ბრძოლაში გურიას ხელს უშლიდა თვით მთავრობა, ქართველმა ხალხმა მაინც შესძლო ავაზაკების წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლის წარმოება.

დღეს თავისუფლების ხანაა. ხალხი თვით მიუძღვის თავის საქმეს. ხალხი თვით უვლის თავის თავს. თვით პატრონობს თავს. მაგრამ სამწუხარო, დიდი უბედურება ატყდება მას, თავისუფალ ხალხს. ანარქიამ, არევ-დარევამ ჩვენში ფეხი შემოდგა. ქურდ-ბაცაცები, ავაზაკები, საერთოდ ბნელი ძალები ამოტივტივდენ და ხალხს შეესიენ: მას მოსვენებას არ აძლევენ. ახმაურდენ ნაძირალები. აყაყანდენ ბნელი ძალები.

ქართველ ხალხს არ შეუძლია მოითმინოს ეს უბედურება. მან დღეს უაღრესათ უნდა გამოიჩინოს ორგანიზაციული ბრძოლითი დიადი ნიჭი. მან იცის, რომ ანარქია თავშივე უნდა ჩაჰკლას. ანარქია ძირში უნდა მოსპოს.

უნდა აილაგმოს ნაძირალები, უნდა ბოლო მოეღოს მათ თარეშს, უნდა დასასრული მიეცეს მათ პარპაშს, თუ გინდ იგი ფარაჯაში ან მაზარაში იყვეს გახვეული. ასე მსჯელობს ყველა დემოკრატი, ყველა მოჭირნახულე ხალხისა. და ეს მსჯელობა, როდესაც გარედან ძალა არ არის, როდესაც სხვა მხრიდან ძალას არ გაწვდიან, ეს მსჯელობა თვით ხალხმა სისრულეში უნდა მოიყვანოს, უნდა განახორციელოს. ადგილობრივ ძალების დარაზმვა ნაძირალების, ავაზაკების წინააღმდეგ და სისტემატიური, ორგანიზაციული ბრძოლა ადგილობრივი ძალებით მათ წინააღმდეგ. ყველა კუთხემ, ყველა რაიონმა უნდა მთელი ღონე იხმაროს, მთელი ენერგია ამუშავოს, რომ ადგილობრივი ორგანიზაციები ავაზაკების წინააღმდეგ იყოს მტკიცე და მედგარი. მივბაძოთ გურიას. მხოლოდ საკუთარი ძალებით ბრძოლა იხსნის მხარეს ბნელი ძალებისაგან.

ძლიერ ვსწუხვართ, რომ დღეს ავაზაკების შესახებ გვიხდება წერა, მაგრამ ვიცით, რომ მრავალს შავბნელათ გაუთენდება მომავალი დღესასწაულები, მრავალს თავს დაესხმიან და მრავალს აატირებენ. და რომ მომავალ დღესასწაულისათვის მაინც აღარ იტიროს ოჯახმა, დღეიდანვე სასწრაფოთ უნდა იქნეს მიღებული ზომები მათ წინააღმდეგ, ვინც ავაზაკობს.

დღეს ძველებური ყაჩაღები აღარ არიან. არც შეიძლება დღეს, თავისუფლების ხანაში, ასეთი ყაჩაღები იყვენ. არიან დღეს მხოლოდ ავაზაკები და ქურდ-ბაცაცები და აღარ უნდა იყვენ ისინი; თვით საზოგადოებამ უნდა ალაგმოს ისინი.

საკუთარი ძალით რევოლიუციონურ წესრიგს უნდა იცავდეს ყველა.

რევოლიუციონური წესრიგი უნდა სრულიად გაბატონდეს.

ვ. ნოზაძე.

მუშათა წერილები

ბოლშევიკები რევოლიუციის დროს.

II

პეტროგრადის პროლეტარიატმა და რევოლიუციონურმა ჯარმა 27 თებერვალს აიღო მეფის ტახტი, რომელიც სამასი წლის განმავლობაში სისხლსა სწოვდა რუსეთში მცხოვრებ 160 მილიონ მოქალაქეს.

რევოლიუციის პირველ დღიდანვე საჭირო შეიქნა ყველა რევოლიუციონური ორგანიზაციების გაერთიანება, ყველა რევოლიუციონურ ძალთა შეერთება. ჩვენი, მენშევიკური ფრაქციის ლოზუნგიც ეს იყო: ყველა რევოლიუციონურ ძალთა გაერთიანება, დავიწყება ვიწრო ფრაქციული ინტერესების რევოლიუციის სასარგებლოთ. რევოლიუციის პირველ დღეებში თითქოს ასეც მოხდა. არამც თუ ერთი და იმავე პარტიის ორი ფრთის გაერთიანება, არამედ სხვადასხვა პოლიტიკურ სოციალისტური პარტიების გაერთიანებაც კი მოხდა.

ჩვენში, კავკასიაში, რევოლიუციის პირველ ხანებში ყველა რევოლიუციონური ძალები ერთ რევოლიუციონურ ორგანოებში მუშაობდენ და ამით ხელს უწყობდენ რევოლიუციის გაღრმავებას. შემდეგ საზღვარ-გარეთიდან ბრუნდებიან თავისუფალ რუსეთში, დევნილი სოციალისტები, რომლებიც საზღვარგარეთ ცხოვრობდენ, როგორც ემიგრანტები. მათ შორის საზღვარგარეთიდან ბრუნდება ეხლანდელი პეტროგრადის თვითმპყრობელი ლენინი. მან ჩამოსვლისას პეტროგრადში მოხსენება წაიკითხა მარქსისტულ კრებაზე, სადაც განაცხადა შემდეგი: „სოციალდემოკრატიულმა მოძღვრებამ, როგორც მარქსისტულმა, დრო მოჭამა, ეხლა საჭიროა შევქმნათ ახალი კომუნისტური პარტიაო“. ხსენებულ მოხსენებას ლენინისას შესაფერი პასუხი გასცა მაშინ კ. წერეთელმა და ზოგმა ბალშევიკებმაც. როდესაც ჩვენ, აქაურმა მუშებმა წავიკითხეთ ლენინის განცხადება, მაშინ კერძოთ შევეკითხეთ აქაურ ზოგიერთ ბალშევიკებს, იზიარებთ თუ არა ლენინის შეხედულებას-თქო. იმათი პასუხი იყო უარყოფითი: არ ვიზიარებთო. ერთმა ისიც კი მითხრა: „ლენინი შეიძლება კიდეც გასულელდეს, მაგრამ ჩვენ კი არ გავსულელდებითო“. მაგრამ განვლო ცოტა ხანმა და პეტროგრადში ლენინმა ბალშევიკთა კონფერენცია მოიწვია, რომელსაც დაესწრო კავკასიიდან ფ. მახარაძე და აი, როდესაც ბ-ნი ფილიპე მახარაძე დაბრუნდა პეტროგრადიდან, ჩამოიტანა „რასკოლი“, რომელიც თურმე ლენინმა გამოატანა. აი ამ დღიდან იწყება როგორც რუსეთში, აგრეთვე ჩვენშიაც ბალშევიკების რასკოლი, რომელიც შემდეგ მასაშიაც კი გადაიტანეს მთელი თავისი სიგრძე-სიგანით.

რას მოითხოვდენ ბალშევიკები?

მთელ ძალა-უფლებას მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების ხელში გადაცემას. რატომ მოითხოვდენ ძალა-უფლებას საბჭოებისათვის? იმიტომ, რომ მათი შეხედულებით რუსეთის რევოლიუცია ბურჟუაზიული კი არ არის, არამედ სოციალისტურია, რომელმაც მუშათა კლასი უნდა შეიყვანოს სოციალიზმის სამეფოში. მართლა ისინი ძალა-უფლებას საბჭოებს აძლევდენ, თუ თავიანთ თავს? ვინც ღრმათ უკვირდება ბალშევიკების ანარქისტულ მოქმედებას, ის ნათლათ დაინახავდა, რომ ბალშევიკები იმიტომ კი არ მოითხოვდენ ძალა-უფლებას საბჭოებისათვის, რომ ეს ძალა-უფლება მართლა საბჭოებს დარჩენოდათ, არამედ იმიტომ, რომ საბჭოებში იმედი ქონდათ, თითონ ჩაიგდებენ ხელში მთელ ძალა-უფლებას, რასაკვირველია, როგორც ბალშევიკები. ჩვენ ვსთქვით, რომ ბალშევიკებმა წამოაყენეს ლოზუნგათ: ძალა-უფლება საბჭოებს. მაგრამ მათ მაშინ სწამთ საბჭოების ძალა-უფლება, თუ საბჭოების შემადგენლობა ბალშევიკურია. და თუ საბჭოების შემადგენლობა ანტი-ბალშევიკურია, ისინი მას ბრძოლას უცხადებენ. რომ ეს ხალასი ჭეშმარიტებაა, ამისი უტყუარი მაგალითია კავკასია.

მას შემდეგ, რაც თვითმპყრობელი ლენინი გაბატონდა პეტროგრადში, რუსეთი რღვევას განიცდის. როგორც ცენტრში აგრეთვე ზოგიერთ მის პერიფერიებშიაც გამეფდა ანარქია და ამრიგათ კავკასიაც მოსწყდა ცენტრს. კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოების ცენტრმა საჭიროთ დაინახა ამიერ კავკასიის კომისარიატის შექმნა, რომელიც თავის მოქმედებაში დაეყრდნობოდა კავკასიის რევოლიუციონურ ცენტრს, როგორიც არის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოები. ეს იყო სურვილი კავკასიის პროლეტარიატის, მშრომელი გლეხკაცობის და ჯარის. და აი, ბალშევიკებიც მათი სურვილის წინააღმდეგ მიდიან. ისინი არ სცნობენ კომისარიატს, არც მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოებს, რომელმაც ეს კომისარიატი შექმნა. ეს იმიტომ, რომ ხსენებულ საბჭოებში ნაკლები გასავალი აქვთ ბალშევიკებს. ამის შემდეგ ბრმაც კი უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ მათ აინტერესებთ ძალა-უფლება თვითმპყრობელ ბალშევიკების. ასეთია მათი მოთხოვნილება.

როგორც მკითხველს მოეხსენება, ბალშევიკების ლოზუნგში კიდევ შემდეგი იყო: პური და ზავი, რამაც დიდათ გაიტაცა „სახლში დაბრუნების პარტია“, ჯარისკაცები და ლუმპენ-პროლეტარები. თუ რამდენათ დააკმაყოფილეს პურით ბალშევიკებმა მშიერი ბრბო, ამისათვის საჭიროა გადაავლოთ თვალი სატახტო გაზეთებს, სადაც უკვე ბატონობენ ეს ვაჟბატონები, რომ ნათლათ დაინახო გაორკეცებული აჩრდილი შიმშილისა, ვიდრე ეს წინათ იყო, სადაც მათი მაღმერთებელი ბრბო ლუმპენ-პროლეტარებისა მაგარ სასმელების მორევში იხრჩობიან. აი ასე დააკმაყოფილა ლენინმა მშიერი ხალხი.

ამხანაგ მუშებს ემახსოვრებათ, როდესაც რუსეთის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოების ცენტრს სათავეში ედგა რევოლიუციის ბელადი კარლო ჩხეიძე, აი მაშინ ამ რევოლიუციონურმა ორგანოებმა თავს იდვა ინიციატივა საერთაშორისო სოციალისტების კონფერენციის მოწვევისა ქალაქ სტოკჰოლმში. ამხანაგ მუშებს ისიც ემახსოვრებათ, რომ ხსენებული სოციალისტური კონფერენცია უნდა მოწვეულიყო განსაკუთრებით ზავისათვის, რომ მსოფლიო ომს ბოლო მოღებოდა და შეეკრათ დემოკრატიული ზავი, უანექსიო და უკონტრიბუციო, ერთა თვითგამორკვევის საფუძველზე. მუშათა კლასის ერთად-ერთი სანუგეშო სტოკჰოლმის კონფერენცია შეიქნა, მაგრამ ეს კონფერენცია არ შესდგა მოკავშირე და მოწინააღმდეგე სახელმწიფოების იმპერიალისტების წყალობით. საინტერესოა ბალშევიკების დამოკიდებულებაც ამ კონფერენციისადმი. ლენინ-ტროცკი, როგორც მამათ-მთავარნი ბალშევიკურ მიმდინარეობისა, წინააღმდეგი იყვენ დასწრებოდენ ხსენებულ სოციალისტურ კონფერენციაზე. რატომ? იმიტომ თურმე, რომ იქ შეიდემანი იქნებოდა და შეიდემანთან მოლაპარაკება ზავის შესახებ სოციალისტებს ჩირქს მოსცხებსო. ეხლა კი, როდესაც ლენინის თვითმპყრობელობა არსებობს, ის მოლაპარაკებას მართავს გერმანიის იმპერატორ ვილჰელმთან სეპარატიული ზავის შესახებ, და ტროცკი სტოკჰოლმში მიემგზავრება გინდენბურგთან ზავის პირობების შესამუშავებლათ. მკითხველს გაეცინება, რომ ლენინ-ტროცკის სოციალისტებთან მოლაპარაკება მათ, როგორც სოციალისტებს ჩირქს მოსცხებდა, მხოლოდ გერმანიის იმპერატორ ვილჰელმთან და მის ღენერალ ჰინდენბურგთან მოლაპარაკება, მათ პიროვნებას ან როგორც სოციალისტურ მიმდინარეობას აამაღლებდა. ასეთია, ამხანაგ მუშებო, ამ უებრო სოციალისტების დამოკიდებულება, როგორც სოციალისტებთან, აგრეთვე იმპერიალისტებთან. თუ ანალიზს გავუკეთებთ მათ მოქმედებას, მაშინ ყველასთვის ნათელი იქნება ის, რომ ლენინ-ტროცკის დამოკიდებულება იმპერიალისტებთან უფრო მეგობრულია, ვიდრე სოციალისტებთან. სახალხო კომისარებს, რომლის სათავეში ლენინი დგას, თავიანთ თავი მოაქვთ მუშების და გლეხების მთავრობათ. თუ რამდენათ იცავენ მუშების და გლეხების უფლებებს, გამოხატავს ეს სახალხო კომისარიატი თვით მუშების და გლეხების ნება-სურვილებს თუ არა, ამ სახალხო კომისარიატმა, დაიცვა თუ არა მუშათა კლასის დიდი ხნის მოთხოვნილება: კრების, სიტყვის, პრესის და ხალხთა წარმომადგენელთა ხელშეუხებლობა? არა. თუ რამდენათ ფეხქვეშ გათელა ბალშევიკების უპასუხისმგებლო მთავრობამ რუსეთის მუშების, გლეხების და ეროვნებათა ინტერესები, ამაზე ცალკე მოვილაპარაკებთ.

ი. სადემეტროველი.

სოც.-დემ. პარტიაში

ს. ბახვი (გურია). 21 დეკემბერს შესდგა ბახვის რაიონის პარტიული კრება. ოზურგეთიდან გვესტუმრა ამხ. მირიან რამიშვილი და გააკეთა მოხსენება. მან კრებას გააცნო დღევანდელი მდგომარეობა, თუ რა საშიშროებას განიცდის კავკასია და როგორი საფრთხე მოელის მას. მოუწოდა მსურველთ ჩაწერილიყვენ „წითელ გვარდიაში“. ჯერ-ჯერობით ჩაეწერა 14 კაცი, და იმედი არის საკმაოთ ჩაეწერებიან; კრება სრულ ნდობას უცხადებს ამიერ-კავკასიის მთავრობას, გმობს ბალშევიკების გამოსვლას და დამფუძნებელ კრების გარეკას და ადგენს: რუსეთის დემოკრატიასთან ერთად იარაღით ხელში დაიცავს დამფუძნებელ კრებას და რევოლიუციის მიერ მოპოვებულ თავისუფლებას. კრება სასტიკ პროტესტს უცხადებს ჩვენი სასიქადულო ბელადის ნოე ჟორდანიას შეურაცმყოფლებს. შავი.

ტფილისი. რკინის გზის სამართველოში 14 დეკემბერს ლიანდაგის განყოფილებაში შესდგა საერთო კრება რ. ს.-დ. მ. პ. წევრთა, თავმჯდომარეობდა ამხ. ასათიანი. დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: მოხსენება შემთანხმებელ კომისიის ესერებთან მუშათა და სალდათთა საბჭოში ასარჩევ კანდიდატებზედ, დამატებითი არჩევნები მცირე კოლექტივის წევრებისა. პირველ კითხვის შესახებ აკეთებს მოხსენებას ამხ. დიდიძე, კამათის შემდეგ ამხ. აცხადებენ სურვილს განსაზღვრულ კანდიდატებზე და აქვე ხდება კანდიდატების ამორჩევა. მეორე საკითხზე ამხ. ასათიანი აცხადებს, რომ მცირე კოლექტივის წევრები საპატიო მიზეზთა გამო კრებებს ვერ ესწრებიან და ზოგნი კი ნაკისრ საქმეს გულგრილად უყურებენ, რაც საერთო საქმეს საფრთხეში აგდებს. საჭიროა შეთანხმებული მუშაობა და დამატება წევრებისაო. კრებამ წამოაყენა რამდენიმე კანდიდატი; ხმის უმეტესობით მცირე კოლექტივში გავიდნენ ამხ. ლომიძე, რუხაძე და ლექავა. აქვე კრებამ სურვილი გამოსთქვა, რომ ჩვენი ფრაქციის წევრებს, რომელნიც სიეზდზე დელეგატებათ არიან მესამე რკინის გზის სიეზდის შესახებ მოხსენება გაეკეთებიათ საერთო კრებისთვის. აქვე 20 ამ თვეს შესდგა მცირე კოლექტივის წევრთა კრება, დღიურ წესრიგში იყო: პრეზიდიუმის არჩევა 5 კაცისაგან, „კონფლიკტის“ კომისია, პასუხის მგებელი კორესპონდენტი.

ამხ. ნატროევის წინადადებით პირველად ირჩევენ თავმჯდომარეს. შემდეგ ორ ამხანაგს, ხაზინადარს და მდივანს. თავმჯდომარეთ პრეზიდიუმისა არჩეულია ამხ. ასათიანი, ამხანაგებათ ამხ. ლომიძე და ხარაზიანი, ხაზინადრათ რუხაძე, მდივნად კახარავა. კონფლიქტის კომისიაში ამხ. ნატროევი, ნაცვალოვი და ლექავა. პასუხის მგებელ კორესპონდენტებათ ამხ. ასათიანი და ხარაზიანი. კითხვა იბადება რკ. გზ. დემოკრატიული კლუბის დაარსების აუცილებლობაზე. ამხ. კახარავა უთითებს „მუშტაიდი-“ს კლუბზე და მასთან ერთად კლუბის კომისიის არჩევაზე, რომელიც მოხსენებას გააკეთებს და გამოარკვევს იმ ფულის რაოდენობას, რომელიც გროვდებოდა მოსამსახურეთა შორის. წევრათ ჩაწერა საერთო კრებამდე უარყოფილ იქნა.

კლუბის კომისიაში აირჩიეს ამხ. ლექავა, კახარავა, ნატროევი და ნაცვალოვი. მცირე კოლექტივმა კრებისთვის აირჩია ერთი დღე—სამშაბათი, საღ. 7 ს. ყოველ კვირაში. „ობერი“.

მუშათა შორის

ხელზე მოსამსახურეთა საყურადღებოთ. ყველას კარგათ გვახსოვს, თუ რა რიგ დამცირებას განვიცდიდით, თუ როგორ ჩამორჩენილი ვიყავით სხვა პროფესიის მუშებთან. შედარებით ჩვენთვის არ არსებობდა ზრდილობიანი მოპყრობა. განსაზღვრული სამუშაო დრო, და ხელფასი, ეს ასე იყო წინეთ. მაგრამ დღეს, როცა რეაქციის შავ-ბნელი ღრუბლები გაჰფანტა რევოლიუციონურმა გრიგალმა ყველა პროფესიის მუშებში დაარსდა მჭიდრო ორგანიზაცია. მართალია, საერთო გამოფხიზლებას არც ხელზე მოსამსახურენიც ჩამორჩენ. ამ დარგშიაც არსებობს პროფ. კავშირი, საჩუქრის მაგიერ შემოღებულ იქნა დანახარჯზე პროცენტები, ამით მოისპო დამამცირებელი „ნაჩაი“ (!) ამრიგად გაუმჯობესებული იქნა პირობები, მაგრამ, სამწუხაროთ, ამ ბოლო ხანებში პროფ. კავშირიც ვერ იჩენს შესაფერ ფხას, ამხანაგებშიაც ძალიან გულ-გრილობას ვხედავთ. ამიტომაა რომ ზოგიერთი ვაჟბატონები ფეხ-ქვეშ თელავენ საერთო დადგენილებას. მაგალითისათვის ავიღოთ კანდიტერი „დოვერიე“, რომელიც თვით გუშინდელ მოსამსახურეებს აქვთ იჯარით აღებული. ამ ვაჟ-ბატონებს დავიწყებიათ თავიანთი წარსული, დღეს გალაღებულან და მუშა მოსამსახურეთა ინტერესებს ფეხ-ქვეშ თელავენ. როგორც ამბობენ, პროფ. კავშირში წევრებათ ითვლებიან. მათთან მუშაობს ორი მოსამსახურე. ერთი თვეში იღებს 150 მან. და მეორე—70 მან. მუშაობენ 18 საათ. პროცენტები კი ბატონ „ხაზეინებს“ მიაქვთ. ეს პირები კავშირის გაგზავნილი არ არიან და ისინიც ხელ-ქვეშ ეწევიან ასეთ მუშაობას, გამკითხავი არავინ არის. ასეთ მოვლენებს ჩვენი კავშირის ხელ-მძღვანელები შესაფერ ყურადღებას არ აქცევენ თურმე. როგორც ამხანაგები ამბობენ, ასეთ სამარცხვინო მუშაობას თფილისში ბევრ ალაგას ეწევიან რაც კავშირის ხელმძღვანელებსაც კარგათ მოეხსენებათ, მაგრამ ამ საყურადღებო მოვლენას ჯეროვან ყურადღებას არავინ აქცევს. საჭიროა მეტი თანაგრძნობა გაუწიოთ უმუშევრებს, მეტადრე სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლებულთ. საჭიროა ასეთ არა სასურველ მოვლენას ჯეროვანი ყურადღება მივაქციოთ დაჩქარებით, თორემ როცა ჩვენს კავშირს ნიადაგი გამოეცლება მერე გვიანღა იქნება თითზე კბენანი.

ო. ბ.

პროვინცია

დ. ჩოხატაური. 22 დეკემბერს შესდგა მრავალ-რიცხოვანი მიტინგი ჩოხატაურის რაიონის კოლექტივის რ. ს. დ. მ. პ. მიერ მოწვეული. მიტინგს თავმჯდომარეობდა ამხ. აფთონ ცინცაძე. მომხსენებელი იყო ამხ. რ. ჩიხლაძე, რომელმაც გააცნო ხალხს რუსეთის მდგომარეობა და კავკასიის კომისარიატის შექმნა. გააცნო აგრეთვე ხალხს დამფუძნებელი კრების თათბირის გარეკა და ძალადობა ბალშევიკებისა და მოუწოდა ხალხს დაეცო დამფუძნებელი კრება. ბალშევიკების მხრივ გამოდის ტ. მშვიდობაძე; ამ დროს შემოდის წინადადება ლაპარაკის დრო განსაზღვრულ იქნას, რადგანაც მოსალოდნელია ცუდი ამინდი დადგესო; ბალშევიკები კი ამას არ მიემხრენ და ასტეხეს აურ-ზაური; ტიტე მოუწოდებს ბალშევიკებს დასტოვონ მიტინგი და ცალკე გამართონ კრება. ამ დროს ადის ტრიბუნაზე ამხ. ჩიხლაძე და მიმართავს კრებას, რომ მისცენ განსაზღვრული დრო და მშვიდობაძეს კი ეუბნება, რომ თქვენ ასეთ საქციელს ჩვეული ხართ, მაგრამ გურულები ნებას არ მისცემს თავს თქვენს მოწოდებას აჰყვესო. თავის უკანასკნელ სიტყვაში მომხსენებელმა შესაფერი პასუხი გასცა, რის შემდეგ წარმოადგინა შემდეგი რეზოლიუცია, რომელიც ერთხმად იქნა მიღებული: „მრავალრიცხოვანი სახალხო მიტინგი, მოწვეული დ. ჩოხატაურში, 22 დეკემბერს, მოისმინა რა მოხსენება იმ უსაშინელეს დანაშაულის შესახებ, რაც ჩაიდინეს ბალშევიკებმა შეიარაღებული ძალით დამფუძნებელი კრების თათბირის გარეკით,—გამოსთქვამს თავის უსაზღვრო გულისწყრომას რუსეთის დემოკრატიის ნების შელახვის გამო, სთვლის დამფუძნებელ კრების გარეკას რუსეთის მოქალაქეთა უფლებების დაცინვათ და რევოლიუციისა და ხალხის მოღალატეებათ აცხადებს იმ პირთ, რომლებიც შეეხენ ხალხის ნება-სურვილების დამფუძნებელი კრების ხელუხლებლობას. მიტინგი აღიარებს, რომ ის აქტიურათ მხარს დაუჭერს დამფუძნებელ კრებას“.

აქ ძალიან გახშირდა საქონლის ჭირი, რომელსაც დიდი ზარალი მოაქვს. საჭიროა ადგილობრივმა მთავრობამ ყურადღება მიაქციოს ამ მოვლენას.

ს. ფარცხმელი.

დ. ხარაგოული (იმერეთი). საქონლის ნაკლებობამ დიდი გაჭირვება დაბადა ხალხში. ამან გამოიწვია კოოპერატივების დაარსება. აქ, როგორც გამგეობაში, ისე სარევიზიო კომისიაში, თითქმის უმრავლესობა მღვდლები დაუყენებიათ, რომლებიც სრულიათ არ არიან დაინტერესებული კოოპერატიული საქმის წარმოებაში და არც რამე გაეგებათ მისი. გამგეობა უყურადღებოთ ექცევა საქმეს და ვერც მიჰყავს ის რიგიანათ. ხალხი უკმაყოფილოა. მოითხოვეს კოოპერატივის ანგარიშები. თითქმის სამჯერ მოხდა კრება, მაგრამ წევრებმა ვერ გაიგო საქმის გარემოება. 10 დეკემბერს, როგორც იყო, შესდგა კრება. ხალხი ბლომათ დაესწრო. გამგეობამ მოკლე მოხსენება გააკეთა, საიდანაც გამოირკვა, რომ კოოპერატივს მოუგია 3000-დე მანეთი, წევრების რიცხვი შემცირებულა და სხვა. კრება დაიშალა უშედეგოთ. აი ხარაგოულის კოოპერატივის „წინსვლა“. საჭიროა მიექცეს მას ყურადღება უფრო შეგნებულ ამხანაგებისაგან, რომ აქაური კოოპერატივი ფეხზე დადგეს.

პრომეთეოსი.

სადმელი (რაჭა). აქ არსებობს ქართ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველო, მაგრამ სოციალ-დემოკრატიულ გაზეთს ნაკლებათ იპოვით, რადგანაც გამგეობის შემადგენლობა წმინდა წყლის ნაციონალისტურ-ფედერალისტურია.

— სადმელში ნავთის მწვავე კრიზისია. ნავთის უქონლობის გამო ყველა დაწესებულებათა მოსამსახურეები იძულებულნი არიან დაღამებისათანავე მუშაობა შესწყვიტონ და ამით საერთო საქმე ფერხდება. თვით ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურენიც ასეთ მდგომარეობაში იმყოფებიან.

— სადმელის საზოგადოების მცხოვრებთ, თუ ამ მოკლე ხანში სიმიდი არსაიდან იქმნა მოტანილი,—დამშევა მოელის.

მოუსვენარი.

სად. აჯიკაგული. გაზეთ „ბრძოლის“ № 43-ში მოთავსებული იყო ამხანაგ ვლადიმერ თოდრიას წერილი, სადაც ჩვენ გვიკიჟინებს და ჭკუას გვასწავლის ბრმა იარაღი არავისი არ უნდა გავხდეთო. მართალს ამბობთ, 1905 წლიდან ბალშევიკი ვიყავიო, მაგრამ როცა ჩვენ გეტყოდით ბალშევიკი ხარო, შენ იტყოდი: მართალია, ბალშევიკი ვარო, მაგრამ მე ის ბალშევიკი არა ვარო, როგორიც ეხლა გამოდიანო. და ახლა, როცა დაბერა ბალშევიკების ავანტიურის ქარმა გარდა ამისა, რისთვის გაგვიწყრა და გაგვიჯავრდა თოდრია იმისთვის, რომ მისი გამოწერილი გაზეთი „ბრძოლა“ და „კავკასკი რაბოჩი“ არ დავიკავეთ ხელში და არ გავავრცელეთ არჩევნების წინა დღეებში? როცა მოიტანდით გაზეთებს დიდის სიამოვნებით ვყიდულობდით მუდამ. ამხანაგო, თქვენ რომ ჩვენთან ამტკიცებდით ეს და ეს კაცი ნამდვილი შავრაზმელიაო ეხლა გეკითხებით: ვინ არის ჩვენს შორის ბრმა იარაღი?

ილია გაგნიძე.

სოფ. უშაფათი (სამეგრელო). აქაური კომისარი გრიგოლ ჭოჭუა ძალიან ჭკვიანი კაცი უნდა იყოს, რომ მარტოკა აწარმოებს ამოდენა საქმეებს. კოოპერატივის საქმეს, ბიბლიოთეკა-სამკითხველოს ბიბლიოთეკარის მოვალეობის ასრულებას და სხვ. ლესიჭინის ცენტრში არსებობს კოოპერატივი „სიმაგრე“, წვრილი კრედიტის ბანკი, სამეურნეო ამხანაგობა და ახლად დაარსებული ბიბლიოთეკა-სამკითხველო. ჯერ გახსნა სამართველოსთან დუქანი, რომელიც გამოაცხადა კოოპერატივათ. ბატონ ჭოჭუამ და გერონტი ბოკუჩავამ დუქანი ჯერ კერძო პირებიდან ნასესხი ფულით გაალეს და მერე, როცა გაავრცელეს ხმა სამმართველოსთან კოოპერატივი დაარსდაო, შეუდგენ აგიტაციის გაწევას ხალხში. კოოპერატივის გამგეობაში ჩააყენეს: მღვდელი ხორავა, მისი „პრიჩეტნიკი“ და ბართლომე საბახტარიშვილი, რომლებიც ხალხისთვის ერთ ნაბიჯს არ გადასვამენ უსასყიდლოთ. საქმეს თავის გუნებაზე მართავენ. კოოპერატივში გამგეობას [illegible] პურის ფქვილი [illegible] ბატონ [illegible]

სამი დღის უკან გამოირკვა, რომ გამგეობას გაუფლანგავს კოოპერატივის თანხიდან ექვსასი მანეთი და სამას ნახევარი მანეთიანები ყალბი ფული აღმოუჩენია სარევიზიო კომისიას.

გარდა ამისა დიდი ზარალი მოუტანეს ბ. ჭოჭუამ და გერონტი ბოკუჩავამ უშაფათის საზოგადოებას. უშაფათის საზოგადოება, რომლის მცხოვრებლები მუდამ ერთად იყვენ ჭირ-ლხინში და ყოველივე საქმეში ერთად მუშაობდენ ხელი-ხელ ჩაკიდებულათ—გაიყო ორ ბანაკათ და სამუდამოთ განშორდენ ერთმანეთს. თითეული მხარე ცდილობს ერთმანეთის დაჩაგვრას და დაქვეთებას როგორც მატერიალურად ისე გონებრივადაც. ეს ყველაფერი ბ. გრიგოლ ჭოჭუას და სულიერ მამა გერონტი ბოკუჩავას მოქმედების ნაყოფია.

ხალხის შვილი „ხუტა“.

ს. გორისა. (შორაპნის მაზრა). ეს სოფელი მოწინავე ამხანაგის ვასილ წერეთლის გარდაცვალების, შემდეგ თითქმის ჩამოშორებულად უნდა ჩაითვალოს კულტურულ საქმიანობას; ს. არგვეთს პოლიტიკურ უნარს მოკლებული ინტელიგენცია არა ჰყავს, მაგრამ სოფელს მცირედ ენერგიას ახმარებენ; მეტი ნაწილი ქალაქებს შეფარებიან და სოფლად დარჩენილები მოდუნებულად მუშაობენ, ბანქოს თამაშში კი ბევრათ სხვებს არ ჩამორჩებიან.

ს. საჯანე. ინტელიგენცია, ტრადიციულ ჭორიკანობას შორს არ გასცილებია. ინტელიგენციის დიდი ნაწილი დაბა ქალაქების ბანქოს სათამაშო კლუბების წევრებათ ითვლებიან. აქ არის ქალთა ვიწრო წრე, რომელიც გაზეთ-წიგნების კითხვას უნდება. აქაც გამეფებულია ბანქოს თამაში, ბელადათ ითვლება გრ. აბაშიძე—ადგილობრივი აღმ. კომიტეტის წევრი. მაშ სხვა რა უნდა აკეთოს 100 კომლმა აზნაურმა, თუ არ ბანქოს თამაში. აქ იყო ერთათ-ერთი მშრომელი, აქაური სკოლის მასწავლებელი, ამხ. ალექსი ხარშილაძე, მაგრამ იგი გაუძევებიათ, ხარშილაძის ნამოწაფარ პაწაწა გოგონებმა შემომჩივლეს: „ალექსისთანა საყვარელი მასწავლებელი ჩვენ აღარავინ მოგვივაო“. სამკითხველოსათვის ფული კარგა ძალა მოაგროვეს, მაგრამ სამკითხველო კი ჯერაც არ არის.

დ. საჩხერის თავადებს ძველებური მცონარეობა აღარ დაეწამება; ბანქოს თამაში, რაშიდაც მახლობელი სოფლელი უსაქმურებიც ჩარეული არიან. აქ ფეოდალური ნაშთების სულიც აღარ ტრიალებს, აქაური აზნაურობა გლეხებთან ერთად უფრო შრომისაკენ მიილტვის; კულტურული დაწესებულებანიც აქვთ. დანარჩენი სოფლები ბობოქარ ცხოვრებას შორი ახლოს წყნარად მისდევენ, თუმცა რიგი მათგანი კულტურულ მუშაობას მოკლებული არიან.—უნდა ითქვას რომ ეს წოდება საერთოთ, გარეგნობით გულგრილათ შეხვდა რევოლიუციას და იმედია კლასობრივი ბრძოლაც უსისხლოთ და სასურველად ჩატარდება. წოდებას იოლად სთმობენ. მთელ აქაურ საზოგადოებას ნაკლათ ემჩნევა ის ერთი წყეული ტრადიციის ნაშთი, რომ მიცვალებულის დაკრძალვაზე ხარჯს არ იშურებიან. ამ მხრივ გაცილებით მეტ ჯიუტობას იჩენს გლეხობა. მიზან შეფარდებული იქნებოდა, თუ რომ კომიტეტები ამ ნაკლს ყურადღებით მოეპყრობიან და ერთგვარ სავალდებულო წესებს გამოიმუშავებენ, რაკი სხვაფრივ არც პრესამ და არც აგიტაციამ არ გასჭრა. აუტანელ პირობებში ჩავარდნილი ხალხი, სურსათის ნაკლებობით და საქონელ-ნაწარმოებთა ძალზე გაძვირებით, თუ რომ მალე ბოლო არ მოეღო, სასოწარკვეთილებამ ლამის მარჯვნით გადახაროს.

ქანოშვილი.

ექიმი ვ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორაა, ნამყოფი იღებს ავათმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი კ. ი. გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებანი

ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელ. 15—00.

დაიკარგა

23 დეკემბერს № 21 მატარებელს შემთხვევით გაჰყვა ერთი ყუთი—ჭურჭლებით და ქვეშაგები ნოხში გახვეული. 25 დეკემბერს ჯიბიდან ამომაცალეს 90 მან. ფული და მასთან ერთად სამხედრო თავისუფლების მოწმობა მოცემული ახალ-სენაკის სამ. საკრებულოსაგან და ნებართვა რევოლვერის ტარებისა. მპოვნელს ვსთხოვ ფული თვითონ დაიტოვოს და დანარჩენი ნივთები უკან დამიბრუნოს შემდეგი მისამართით: ст. Акстафа, Левану Корсава. 2—2

მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაბაევის შესახვევი, № 1.